წლიწადი მერვე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 6ბ, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—48
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 8ა, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით რუმინეთში საშინელი ტერორია გამეფებული.
— ამხ. ლიზარევზე თავდამსხმელის—ვოიცეხოვსკის საქმე გაირჩევა 28 დეკემბერს.
— პოლონელ მენშევიკების თავდასხმა მუშებზე. — მრავალი მუშა დაჭრილია.
— კემბრიჯის (ინგლისი) სტუდენტები მოითხოვენ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებას.
— რუმინეთის მემაღაროების ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის.
— მეცნიერების მუშაკთა საკავშირო თათბირი შესდგება 1929 წ. 21 თებერვალს.

ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 288 (2331)

განიარაღების საკითხის გარშემო

ლუგანოში ამჟამად მიმდინარეობს ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია. აქ შეკრებილ კაპიტალისტურ სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოლაპარაკების ერთ-ერთ საგანს შეადგენს განიარაღების კონფერენციის მომამზადებელ კომისიის მოწვევის ვადის საკითხი.

როგორც ვიცით, ამ კომისიის უკანასკნელ (მეხუთე) სესიამ დაადგინა, რომ იგი კვლავ შეკრებილიყო, „თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა ერთა ლიგის მომავალ კრებამდე“. ეს კრება დიდი ხანია შესდგა, მაგრამ მომამზადებელი კომისია არ მოუწვევიათ მხოლოდ ერთა ლიგის კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მომამზადებელ კომისიის თავმჯდომარეს ავალებს „კონტაქტი დაამყაროს დაინტერესებულ მთავრობებთან, რათა ის გაცნობილიყოს მათი მოლაპარაკების მსვლელობას და რათა მას შესაძლებლობა ჰქონდეს მომამზადებელი კომისია მოიწვიოს ამა წლის ბოლოს, ყოველ შემთხვევაში 1929 წლის დასაწყისში“.

უკვე შეუძლებელი ხდება მომამზადებელ კომისიის სესიის დაუსრულებელი გადადება, რომ საბოლოოდ არ შეირყეს ნდობა ერთა ლიგის „მუშაობისადმი“ განიარაღების დარგში (თუ ასეთი ნდობა ვინმეს კიდევ შერჩენია). ერთა ლიგის „პრესტიჟის“ აღდგენა აუცილებლად მოითხოვს ამ მხრივ რამე მანევრის გაკეთებას. ეს საჭიროა აგრეთვე ომისათვის იმპერიალისტების გამალებული მზადების მისაჩქმალავად.

აქედან—ლუგანოში თითქო იმ აზრს ადგებიან, რომ მოსამზადებელ კომისიის სესია მომავალი წლის თებერვალში მოიწვიონ. აღსანიშნავია, რომ ინგლისის მთავრობა, რომელიც განსაკუთრებით ეწეოდა საბოტაჟს ამ საკითხში, ეხლა გამოდის ხსენებულ კომისიის სესიის მოწვევის მომხრედ. კონსერვატორების იმპერიალისტური პოლიტიკა, კერძოდ ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისი უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს როგორც თვით ინგლისის მოსახლეობაში, ისე უმთავრესად ამერიკაში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ამიტომ ბოლდუინის მთავრობა იძულებულია თავი ისე მოგვაჩვენოს, რომ თითქო ის მზადაა ხელი შეუწყოს მშვიდობიანობისა და განიარაღების საქმეს.

ამგვარად, მოსალოდნელია, რომ განიარაღების კონფერენციის მომამზადებელი კომისიის მეექვსე სესია შეიკრიბება 1929 წლის თებერვალში. რას გააკეთებს ის, შესძლებს თუ არა იგი განიარაღების საქმის ოდნავ წინ წაწევას? რა თქმა უნდა, ვერ შესძლებს. ასეთ მიზანს იმპერიალისტური ქვეყნები, რამდენადაც საკითხი თვითეულ მათგანის განიარაღებას შეეხება, არც ისახავენ. საყურადღებოა, რომ მაშინ, როცა ერთა ლიგის საბჭოს სხდომები მიმდინარეობს, სხდომები იმ ორგანოსი, რომელიც ოფიციალურად მაინც მოწოდებულია მშვიდობიანობის განმტკიცებასა და განიარაღებაზე იზრუნოს,—სწორედ ამ დროს საფრანგეთის მთავრობა პარლამენტში ატარებს გადიდებულ სამხედრო ბიუჯეტს, ხოლო ფაშისტური იტალიის მეთაური მუსოლინი გულახდილად აცხადებს: „მთელი მსოფლიო იარაღს ისხამს. გაზეთებში ყოველ დღე ვკითხულობთ ცნობებს წყალქვეშა ნავების, კრეისერების ფების და ომის სხვა იარაღების დამზადების შესახებ. როცა ქარიშხალი ახლოვდება, მთელი მსოფლიო მშვიდობიანობაზე ლაპარაკობს. არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ მე მოვითხოვ ერისაგან, რომ მან სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ზღვის, ხმელეთის და საჰაერო ძალები“. ამნაირად, იმპერიალისტურ სახელმწიფოებ შორის გამწვავებულ ქიშპობას აქვს ადგილი შეიარაღების დარგში, რაც ჩვენთვის ცნობილი ამბავია. ამას მუსოლინიც ადასტურებს, მაგრამ, ცხადია, არა იმისათვის, რომ დასვას შეიარაღების შემცირების საკითხი, არამედ იმისათვის, რომ გაამართლოს იტალიის სამხედრო მზადების გაძლიერება.

ასეთ მილიტარისტულ ციებ-ცხელების დროს მილიტარისტები განიარაღებაზე ლაყბობენ. ისინი მომამზადებელ კომისიის თებერვლის სესიაზეც შეეცდებიან მასებისათვის თვალის ახვევას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამას ისინი ვერ მოახერხებენ. სხვათა შორის, ამის საწინდარია საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობა ამ კომისიაში.

კომისიის ოთხი პირველი სესია ისე ჩატარდა, რომ საბჭოთა მთავრობა არ ყოფილა დაშვებული. ჩვენ საშუალება მოგვეცა მხოლოდ მეხუთე სესიას დავსწრებოდით. მაშინვე ჩვენმა დელეგაციამ თავისი გამოსვლებით ააფორიაქა ის აშმორებული ჭაობი, რომელსაც მომამზადებელი კომისია წარმოადგენს, და საჯაროდ ამხილა იმპერიალისტების პაციფისტური თვალთმაქცობა. ჩვენი წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ უარყვეს. ამის შემდეგ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაწილობრივი განიარაღების პროექტიც გადადებულ იქნა, ისე რომ იგი არც განუხილავთ. ამით ფარდა აეხადა მშვიდობიანობაზე მოლაყბეთა ნამდვილ ზრახვებს.

მომამზადებელ კომისიის თებერვლის სესიაზე, როგორც ჩანს, განსახილველად დაისმება ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტი. კაპიტალისტური მთავრობები იძულებული არიან ამაზე დასთანხმდენ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრის ზეგავლენით და საბჭოთა მთავრობის დაჟინებით მოთხოვნის გამო (იხ. ლიტვინოვის ლოუდონთილი წერილი).

თავისთავად ცხადია, იმპერიალისტურ მთავრობათა კაბინეტებში თავს იმტვრევენ, თუ როგორ მოუარონ ჩვენს პროექტს მომამზადებელ კომისიის მომავალ სესიაზე, როგორ მიაფუჩეჩონ ის. იმგვარად, რომ „უმანკოება“ შეინარჩუნონ. საბჭოთა დელეგაცია შეუბრალებლად ამხილებს მათ ბნელ კომბინაციებს. და ეს მისთვის არ იქნება ძნელი საქმე: ჩვენი წინადადება იმდენად მარტივი და ნათელია, ხოლო იმპერიალისტების საბოტაჟი განიარაღებისადმი იმდენად აშკარა, რომ მდგომარეობაში მასები ადვილად გაერკვევიან, მიუხედავად ყოველგვარი სოფისტური ცდისა სისხლის ღვრის მოციქულთა მხრით, რომ ჩრდილი მიაყენონ ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას და თავისი თავი მშვიდობიანობისათვის მებრძოლად გამოიყვანონ.

ფართე მასებისათვის უფრო ცხადი გახდება, რომ მშვიდობიანობის განხორციელება შეიძლება მარტო იმ გზით, რომელზედაც საბჭოთა მთავრობა მიუთითებს, და რომ იმპერიალისტებს განიარაღებაზე ლაყბობა ესაჭიროებათ მხოლოდ თავის საომარი მზადების დასაფარავად.

ინდუსტრიალური განვითარების ბიუჯეტი

1928-29 წლის ბიუჯეტი, რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ ცაკის სესიას წარუდგინა განსახილველად, ამ დღეებში დაამტკიცა სესიამ. ცაკის მიერ მიღებული შესწორებანი შედარებით მცირეა. სესიამ უფრო სისწორით გამოიანგარიშა შემოსავალი, გაადიდა მისი ჯამი 7.695 მილიონ მანეთიდან 7.781 მილ. მანეთამდე, ე. ი. 86 მილიონი მანეთით, და გაანაწილა ეს დამატებითი თანხა. სხვა მხრივ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უმნიშვნელო ცვლილებებს ბიუჯეტის შიგნით, სესიამ მთლიანად მიიღო სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი.

დამტკიცებული ბიუჯეტის არსებით მხარეს,—როგორც ეს გადაჭრით იყო ხაზგასმული ნოემბრის პლენუმის დირექტივებში,—შეადგენს შემდგომი დიდი ნაბიჯის გადადგმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალიზაციის მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენების საქმეში. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალურ-სამეურნეო ბიუჯეტის განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ ბიუჯეტებისაგან ნათლად და მკვეთრად ჩანს 1928—29 წლის ბიუჯეტში.

შემოსავალი გადიდდა მილიარდი მანეთით და ამ მილიარდიდან თითქმის ორი მესამედი ახალი ბიუჯეტით გადადებულია სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად. სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების ზრდამ 2 ნახევ.-ჯერ გაუსწრო ბიუჯეტის ზრდის ტემპს. მისი ზრდა შეადგენს 20 პროცენტს, ხოლო ბიუჯეტის საერთო ზრდა 50 პროცენტს. საბიუჯეტო ხარჯების საერთო თანხა სახალხო მეურნეობისათვის შეადგენს 2,200 მილიონ მან., თუ ამას მივუმატებთ რკინის გზების მომქმედ კაპიტალში დაბანდებულ თანხებს, მივიღებთ 2,700 მილიონ მან.

ცხადია, მარტო საშემოსავლო წყაროების დიდად დატვირთვით არ შეიძლებოდა ასეთი შედეგის მიღება. ამისათვის საჭირო გახდა აგრეთვე ხარჯების დანარჩენი ჯგუფების რამდენადმე შემცირება და პირველი ადგილის დათმობა ინდუსტრიალურ-სამეურნეო დარგის ხარჯებისათვის.

ეს გზა—მკაცრი მომჭირნეობის გატარება ყოველ დარგში, რაც კი არ შეეხება სახალხო მეურნეობის განვითარებას, აირჩია მთავრობამ. საკმაოა დავასახელოთ რამდენიმე ციფრი. სახელმწიფო მმართველობის ხარჯები ახალ წელს თითქმის უცვლელად დარჩა: ეს ხარჯები წარსულ წელს გადადებულ თანხებთან შედარებით, გაიზარდა მხოლოდ 3,5 პროცენტით, მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერდა საბჭოების სახელმწიფო მექანიზმის მომწესრიგებელი და ხელმძღვანელი როლი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. თავდაცვის ხარჯები თითქმის 2-ჯერ ნაკლებად გაიზარდა მთელი ბიუჯეტის საერთო რაოდენობის ზრდასთან შედარებით.

მაღალი ტემპი დარჩა მხოლოდ სოციალ-კულტურული ხარჯებისათვის, რომლებიც 7,5 პროცენტით გაიზარდა, რაც თითქმის უდრის მთელი ბიუჯეტის ზრდის ტემპს.

რადგან ხარჯები სახალხო მეურნეობისათვის ძალიან გაიზარდა, ბიუჯეტის ჯანსაღი ბალანსის უზრუნველსაყოფად აუცილებელი გახდა რესპუბლიკების და ადგილების მხრივ ერთგვარი მსხვერპლის გაღება მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ინდუსტრიალური ნაწილის სასარგებლოდ. საკავშირო მთავრობა იძულებული გახდა რამდენადმე შეეცვალა რესპუბლიკების მთავრობების ბიუჯეტების საგასავლო ნაწილი და გაეძლიერებია ამ ბიუჯეტებში ხარჯები სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად, რისთვისაც აუცილებელი იყო დანარჩენი ხარჯების და, უპირველეს ყოვლისა, იმ ანარიცხების შემცირება, რომლებიც ადგილებს ეძლევათ. ადგილობრივი ბიუჯეტი წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანარიცხების სახით მიიღებს 46 მილიონი მანეთით ნაკლებს იმასთან შედარებით, რაც მას უნდა მიეღო. რაც უნდა უმნიშვნელო იყოს ეს ციფრი, მას შეუძლია რამდენადმე არსებითად დააბრკოლოს ადგილობრივი ბიუჯეტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელიც მაგრად დადგა საკუთარ ფეხზე და რომლის რაოდენობა წელს განისაზღვრება 2 მილიარდი მანეთით, თუ არ ჩავთვლით საბრუნავ თანხებს კომუნალური მეურნეობისათვის.

ხარჯების შემცირება საბიუჯეტო ბალანსის უზრუნველსაყოფად მით უფრო აუცილებელია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი მტკიცედ არის განსაზღვრული.

ახალი მილიარდი მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტში ნიშნავს შემოსავლის 15 პროცენტით გადიდებას გასული წლის ფაქტიურ შემოსავალთან შედარებით და 20 პროცენტით გადიდებას წარსულ წელს ნავარაუდევ რაოდენობასთან შედარებით.

ამ ციფრების დაპირისპირება საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავლის ზრდის რაოდენობასთან, რომელიც (ზრდა) განსაზღვრულია 10 პროცენტით, გვიჩვენებს სახელმწიფო ბიუჯეტის როლის შემდგომ ზრდას სახალხო შემოსავლის განაწილების საქმეში. ამას მოწმობს აგრეთვე ის ციფრი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფო ბიუჯეტის შეფარდებას სახალხო შემოსავალთან: ეს ციფრი მიმდინარე წელს შეადგენს 27.1 პროცენტს, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 1926—27 წელს იგი შეადგენდა 23.9 პროცენტს. ამასვე გვიჩვენებს ის, რომ მნიშვნელოვანია (800 მილიონ მან.) ახალი ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც გამოწვეულია გადასახადების საკანონმდებლო წესით გადიდებით, კერძოდ არაყის აქციზის მომატებით.

ამ ფაქტებმა, რომლებიც მოწმობენ სახელმწიფო ბიუჯეტის დიდად დატვირთვას, რასაკვირველია, არ უნდა მიგვიყვანონ იმ დასკვნამდე, თითქოს შემოსავალი გაზვიადებულად არის ნავარაუდევი. უკანასკნელ წლებში ბიუჯეტის შესრულების გამოცდილება და მიმდინარე წლის შესაძლებლობათა ფხიზლად გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ ნავარაუდევი შემოსავალი უეჭველად რეალურია.

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ბალანსის დიდად დატვირთვას კიდევ იქნება ადგილი მთელი რიგი წლების განმავლობაში, საბჭოთა ქვეყნის მთელი ძალებისა და თანხების მობილიზაციის გამო, რაც საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ საშემოსავლო წყაროების დიდად დატვირთვა არ გვიმზადებს არავითარი გართულების საფრთხეს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბიუჯეტის ყოველგვარ, შედარებით უმნიშვნელო გაბზარვასაც კი, რომელიც თავისთავად საშიში არ არის ფინანსიურ სისტემაში შეიძლება გართულება მოჰყვეს სამეურნეო გეგმებისათვის, რომელთა განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია ბიუჯეტის შესრულებაზე. რა მოჰყვება შემოსავლის მთლიანად არ მიღებას? ან კაპიტალური თანხების დაბანდების შემცირება იმის გამო, რომ შემცირდებოდა ბიუჯეტით დასაბანდებელი თანხები სახალხო მეურნეობაში ან საკრედიტო სისტემის გადაჭარბებით დატვირთვა და აქედან გამომდინარე გაძლიერებული ემისიისა და საკრედიტო გეგმების შესრულების გაძნელებათა ყოველგვარი საფრთხე. თქმა არ უნდა რომ არც ერთს, არც მეორეს ჩვენ არ დაუშვებთ.

ამიტომ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საფინანსო სისტემა მკვიდრია, რაც დაგვანახვა უკანასკნელი წლების ბიუჯეტისა და კრედიტის წარმატებულ ზრდამ სამეურნეო განვითარების სიძნელეთა დაძლევის პირობებში ჩვენმა პარტიამ და მუშურ-გლეხურმა მასებმა მკაფიოდ უნდა დასვან დღის წესრიგში ამოცანა იმის შესახებ, რომ ყურადღებით და სისწორით შესრულდეს ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტები. მიმდინარე წლ. ამოცანაა, ჯერ ერთი სრულიად შეიკრიბოს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული შემოსავალი, მეორე—რაც შეიძლება მეტი მომჭირნეობა იქნას დაცული გასავლის საქმეში. ამ ამოცანის გადაჭრა ახლავე უნდა დაიწყოს და წლის ბოლომდე პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში მოექცეს.

მომჭირნეობა ჯერ კარგად ვერ ვისწავლეთ სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მოხსენებაში, რომელიც გაკეთებულ იქნა ცაკის სესიაზე 1926-27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების რევიზიის შესახებ, კვლავ დასახელებული იყო სახელმწიფო თანხების წყალში გადაყრისა და მიზანშეუწონელი ნაუცბათევი ხარჯების მრავალი შემთხვევა.

ბევრი ასეთი შემთხვევა გამოარკვიეს საფინანსო კონტროლმა, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და აგრეთვე მუშკორებმა განვლილი წლის ბიუჯეტისა და მისი ცალკე მუხლების შესრულების საქმეში. საჭიროა ენერგიული ზომები მივიღოთ, რომ ასეთი ხარჯები მოისპოს. ბიუჯეტში აღნიშნული ამა თუ იმ თანხის დახარჯვის უფლება იმას არ გულისხმობს, რომ კრედიტის გამგებელი ვალდებული იყოს აუცილებლად დახარჯოს იგი, თუნდაც სამეურნეო მდგომარეობისათვის უმჯობესი იყოს ამ ხარჯის შეჩერება და გადადება. რასაკვირველია, მტკიცე ბიუჯეტის იდეას არ ეწინააღმდეგება სიფრთხილე სახელმწიფო თანხების ხარჯვაში და გათვალისწინება იმისა, თუ როგორ შემოდის შემოსავალი მიმდინარე სამეურნეო წლის თავისებურებანი და თითქმის ყველა სამეურნეო გეგმის დიდი დატვირთვა დაჟინებით მოითხოვენ ყველა საბჭოთა ორგანოსაგან, რომ დაიცვან უსასტიკესი დისციპლინა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების დროს, მოითხოვენ, რომ არა თუ არ გასწიონ ზედმეტი ხარჯები, არამედ ენერგიულად ეცადონ რომ რაც შეიძლება მეტი მომჭირნეობა მოახერხონ ნებადართული ხარჯების გაწევაში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის რეზერვები ჯერ კიდევ დიდი არაა, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში—უმნიშვნელოც კია. ამ რეზერვების დაგროვება და ამ რეზერვებით საკრედიტო სისტემის რესურსების გაძლიერება საჭიროა მიმდინარე წლის სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფადაც და იმისათვისაც, რომ შემდეგ წლიწადს (მის შესახებ ახლავე უნდა ვიფიქროთ) გაძლიერდეს სახელმწიფო ბიუჯეტის როლი, რადგან იგი ერთ-ერთი უდიდესი დასაყრდენია საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

„პრავდა“. 12 დეკემბერი.

განიარაღების საკითხის გარშემო

ამხ. ლიტვინოვის წერილი განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს

საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს კომისიის მოწვევას და განიარაღების საბჭ. პროექტის განხილვას

განზრახულია კომისიის მოწვევა თებერვალში და ნაწილობრივი განიარაღების საბჭ. პროექტის განხილვა

ამხ. ლიტვინოვის წერილი ლოუდონს

მოსკოვი, 12 დეკემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა, საბჭოთა კავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში, ამხ. ლიტვინოვმა 5 დეკემბერს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს ლოუდონს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მეხუთე სესიამ დაადგინა, კომისიის ახალი სესია, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მოეწვია ერთა ლიგის მომავალ საერთო კრებამდე. ჩემს წერილში 20 აგვისტოს თარიღით, ვეურდნობოდი რა ხსენებულ რეზოლიუციას, შეგეკითხეთ, თუ რა მიზეზებმა შეუშალეს ხელი მოსამზადებელი კომისიის ახალი სესიის აღნიშნულ ვადაზე მოწვევას და როდისთვის იყო განზრახული მისი მოწვევა თქვენს პასუხში 5 სექტემბრის თარიღით მოკლედ მაცნობეთ, რომ თქვენის აზრით მოსამზადებელი კომისიის მე-6 სესიის მოწვევა ერთა ლიგის საერთო კრებამდე სასურველ შედეგებს არ გამოიღებსო. კომისიის მოწვევის პერსპექტივების საკითხზე თქვენ მიპასუხეთ, რომ თვალყურს ადევნებდით იმ ამბებს, რომლებსაც ერთა ლიგის კრებაზე ჰქონდა ადგილი და რომ ამ კრების დამთავრების შემდეგ თქვენ საშუალება გექნებოდათ მიგეღოთ გადაწყვეტილება. მე ვიცი, რომ ერთა ლიგის საერთო კრებამ განიარაღების საკითხზე მიიღო მეტად ბუნდოვანი რეზოლიუცია, რომლითაც მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს დაავალა—„დაემყარებია კონტაქტი დაინტერესებულ მთავრობებთან, რათა სცოდნოდა, თუ რა მდგომარეობაში იყო მათი მოლაპარაკება და საშუალება ჰქონოდა მოეწვია კომისია მიმდინარე წლის ბოლოს, ყოველ შემთხვევაში, 1929 წლის დასაწყისში მაინც“. ამრიგად, კომისიის შემდეგი სესიის მოწვევა ისევ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ დამთავრდებოდა რამდენიმე სახელმწიფოს შორის წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკება.

კომისიის უკანასკნელ სესიაზე,—ნათქვამია შემდეგ წერილში,—საბჭოთა დელეგაციამ გადაჭრით გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ თვით მოსამზადებელ კომისიაში განიარაღების საკითხების ირგვლივ არ სწარმოებდა საჯარო მსჯელობა და სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა სახელმწიფოების მცირე ჯგუფის ფარულ დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე. **საბჭოთა დელეგაცია მაშინ ეჭვს გამოსთქვამდა იმის შესახებ, რომ ასეთი გზით შესაძლებელი ყოფილიყო საერთოდ მისაღები ბაზის შემუშავება განიარაღების საკითხში.** ამჟამად მე იძულებული ვარ აღვნიშნო რომ **საბჭოთა დელეგაციის ეჭვები, სამწუხაროდ სავსებით გამართლდა.** რამდენადაც შეიძლება მსჯელობა გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ის **მოლაპარაკება**, რომელიც სწარმოებდა **დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის შეიარაღების შემცირების შესახებ უშედეგოდ დამთავრდა**, რამაც დააბრკოლა მოსამზადებელი კომისიის შემდგომი მუშაობა. რაც უნდა უნუგეშო იყოს კომისიის მუშაობის პერსპექტივები, საბჭოთა დელეგაციის აზრით მოსამზადებელი კომისია მაინც დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბოს თუნდაც იმისათვის, რომ ანალიზი გაუკეთოს თავისი მუშაობის უშედეგობის მიზეზებს, გამოიყვანოს სათანადო დასკვნები შექმნილი მდგომარეობიდან და გამონახოს ახალი გზები კომისიის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად. ის გარემოება, რომ რამდენიმე სახელმწიფოს შორის შეიარაღების შემცირების შესახებ წარმოებული მოლაპარაკება სრულიად უნაყოფო გამოდგა, აიხსნება არა მარტო იმით, რომ მოლაპარაკება საჯაროდ არ სწარმოებდა და მასში სახელმწიფოთა მინიმალური რაოდენობა იღებდა მონაწილეობას, არამედ იმ პრინციპითაც, რომელიც სურთ საფუძვლად დაუდონ შეთანხმებას, სახელდობრ, თვითეული ქვეყნისათვის შეიარაღების საზღვრის ცალკე ინდივიდუალური დაწესების პრინციპით, რაიმე საერთო და სამართლიანი ყველასათვის მისაღები კრიტერიუმის გარეშე. საბჭოთა დელეგაცია მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობის მიღების დასაწყისიდანვე ყოველთვის აღნიშნავდა, რომ შეიარაღების შემცირების საკითხში საჭიროა საერთო კრიტერიუმის გამოყენება; ამის მიხედვით საბჭოთა დელეგაციამ კომისიის მეხუთე სესიაზე შეიტანა თავისი პროექტი შეიარაღების შემცირების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა შეიარაღების შემცირებას ყველასათვის სავალდებულო პროპორციით (ესე იგი შეიარაღების შემცირებას 50 პროცენტით), მხოლოდ დასაშვებად მიაჩნდა რამდენიმე გამონაკლისი უფრო სუსტი სახელმწიფოების სასარგებლოდ. მე დარწმუნებული ვარ, **თუ კომისიას არ სურს საბოლოოდ აღიაროს თავისი სრული უძლურება განიარაღებისათვის ხელის შეწყობის საქმეში, ის დაჩქარებით უნდა შეუდგეს განიარაღების შემცირების იმ პროექტის განხილვას რომელიც წარუდგინა მას საბჭოთა დელეგაციამ. ამიტომ გთხოვთ, წინადადება მისცეთ მოსამზადებელი კომისიის მონაწილეებს—იზრუნონ იმისათვის, რომ თავის დროზე მიიღონ საჭირო ინსტრუქციები თავიანთი მთავრობებისაგან და მხედველობაში იქონიონ ამ პროექტის დასმა კომისიის შემდგომი სესიის დღის წესრიგში. ჩემი წინადადება ასეთია: დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას მოსამზადებელი კომისიის მე-6 სესია და მიღებულ იქნას საჭირო ზომები იმისათვის, რომ ამ სესიამ განიხილოს საბჭოთა პროექტი კონვენციის შეიარაღების შემცირების შესახებ“** (ადს).

ინგლის-ჩინეთის მოლაპარაკება

პირველი შეხვედრა

შანხაი, 11 დეკემბ. ინგლისის ელჩი ჩინეთში მაილს ლემპსონი პირველად ესაუბრა ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ვან-ჩჟენ-ტინს.

იაპონური წყაროებიდან მიღებული ცნობით, მაილს ლემპსონი მოითხოვდა მარტო ახალი საბაჟო ტარიფების საკითხის განხილვას, ხოლო ვან-ჩჟენტინ კი — ყველა საკითხის ერთად განხილვას.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მხარეებმა ერთმანეთს გადასცეს შეთანხმების პროექტი ტარიფების შესახებ.

აჯანყება ავღანისტანში

ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები

ლონდონი, 11 დეკემბერი. ინგლისის პრესაში მოთავსებულია ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები ავღანისტანის ამბების შესახებ.

„ტაიმსი“ ათავსებს ლაჰორიდან მიღებულ დეპეშას პეშავარში გავრცელებულ ხმების შესახებ, რომ თითქოს ავღანისტანის მეფე ამანულამ ათი დღით დროებითი ზავი დასდო აჯანყებულებთან.

ავღანისტანის მისია ლონდონში უარჰყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ შინვარებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქი ჯალალაბადი. მისია იუწყება, რომ აჯანყებულებს დიდი ზარალი მოუვიდათ და მათ უკან დაიხიეს.

„დეილი ექსპრეს“-ი იუწყება, რომ აჯანყება სწრაფად ედება ავღანისტანს და რომ „მთელს სახელმწიფოში არეულობაა“-ო.

რეიტერის კორესპონდენტი ქაბულიდან იუწყება, რომ ავღანისტანის დედა-ქალაქში სიწყნარეა და ევროპიელებს არავითარი საფრთხე არ მოელითო.

თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემპსონმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ინგლისელთა სიცოცხლესა და ქონებას ავღანისტანში არავითარი საფრთხე არ მოელის. მიუხედავად ამისა, მთავრობამ დაავალა ინგლისის ელჩს ქაბულში — მიიღოს საჭირო ზომები, რათა ავღანისტანის მთავრობამ ყოველმხრივ დაიცვას ინგლისის მოქალაქენი.

შეკითხვების საპასუხოდ ლოკერ ლემპსონმა განაცხადა, რომ ამჟამად ავღანისტანში 2.000-მდე ინგლისელი მოქალაქეა. მიუხედავად ამისა, მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილია ინგლისელი. ურთიერთობა ინგლისის ელჩთან ქაბულში სწარმოებს რადიოს საშუალებით.

ოპოზიცია პუანკარეს მთავრობის წინააღმდეგ

პარიზი, 11 დეკემბ. ბიუჯეტის მუხლობრივი წაკითხვის დროს სოციალისტმა გონგომ შეიტანა წინადადება, რომ კომისიას დაუბრუნდეს მეორე მუხლი. ეს მუხლი 10.000 ფრანკს აწესებს იმ მინიმუმად, რომელსაც საშემოსავლო გადასახადი არ შეეხება. გონგოს აზრით, ეს მინიმუმი გადიდებულ უნდა იქნას.

დებატების გამწვავებამ აიძულა ფინანსთა მინისტრი შერონი, რომელიც შეტანილი შესწორების წინააღმდეგი იყო, ორჯერ დაესვა ნდობის საკითხი. ბოლოს პალატამ 315 ხმის უმრავლესობით 263 ხმის წინააღმდეგ უარჰყო სოციალისტების შესწორება.

ამ საკითხში გაერთიანდნენ კომუნისტები, სოციალისტები, რესპუბლიკანელი სოციალისტების მემარცხენე ფრაქცია, 112 რადიკალი, 7 დამოუკიდებელი მემარცხენე, 4 მემარცხენე რადიკალი და (ფრაქციებისა და ჯგუფების გარეშე მდგომნი 8 დეპუტატი). ოპოზიციის ამ იერიშმა დიდი მღელვარება გამოიწვია პარლამენტის კულუარებში და მთავრობის წრეებში.

ოპოზიციონური პრესა ოპოზიციის ამ დარაზმვაში ხედავს რეალურ შესაძლებლობას, რომ მოსალოდნელია ახალი მთავრობის უმრავლესობა შეიქმნას კონკრეტული პროგრამის ნიადაგზე (ადს).

ინგლისის დიპლომატიის მანევრი

ინგლისი ტაქტიკას „იცვლის“

ლუგანო, 11 დეკემბ. როგორც ჩანს, საკითხი განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადის შესახებ თვალსაჩინო როლს თამაშობს ლუგანოს თათბირში.

ინგლისის დელეგაციასთან ახლო მდგომი წრეების ცნობით, ინგლისის მთავრობა, რომელიც საბოტაჟს უცხადებდა კომისიის მოწვევას, აპირებს თავისი ტაქტიკის შეცვლას ამ საკითხში. **ინგლისის მთავრობის ახალ ტაქტიკას საფუძვლად უდევს საარჩევნო მოსაზრებები და აგრეთვე ის, რომ ინგლისის მთავრობას სურს „რამდენადმე შეარბილოს“ შთაბეჭდილება,** რომელიც მოახდინა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებზე, და არ შეუქმნას ახალი დაბრკოლებები ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის შესაძლებელ მოლაპარაკებას. დასასრულ, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს თავისი თანხმობა მოსამზადებელი კომისიის თებერვალში მოწვევაზე გამოხატოს ისე, თითქოს, იგი დათმობაზე მიდის გერმანიის წინაშე. (ადს)

ინგლისის გეგმების მიხედვით

ლუგანო, 11 დეკემბ. როგორც ერთა ლიგის აპარატში ადასტურებენ, განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადის საკითხი სახელმწიფოებს შორის გამართული მოლაპარაკების საგანს შეადგენს. ეს საკითხი გადაჭრილი იქნება ინგლისის გეგმის მიხედვით. ყოველ შემთხვევაში, **კომისიის თებერვლის სესიის დღის წესრიგში შეტანილი იქნება საბჭოთა პროექტი ნაწილობრივი განიარაღების შესახებ და გერმანიის წარმომადგენლის ბერნსტორფის წინადადებები შეიარაღების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის შესახებ.** (ადს)

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს

რენოდელი ცრუობაში დაიჭირეს

პარიზი, 11 დეკემბ. ჰავასი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიანი წარმომადგენლობის (პარიზში) პრესის ბიუროს ცნობას.

იმ შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც რენოდელმა შეიტანა დეპუტატთა პალატაში ავიაციის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, — **თუ რატომ არ მოაწერა საბჭოთა კავშირმა ხელი კონვენციას გაზებით ომის აკრძალვის შესახებ,** — ცნობაში ნათქვამია, რომ **საბჭოთა მთავრობამ კონვენცია დაამტკიცა 7 მარტსაო.** (ადს)

კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტები მოითხოვენ

მეგობრული ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან

ლონდონი, 11 დეკემბერი. კამათის შემდეგ კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტთა პოლიტიკურმა კლუბმა 240 ხმის უმრავლესობით 124 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს მთავრობას, რომ მან იკისროს თაოსნობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად. სტუდენტთა კლუბში გამართულ კამათს უშუალო პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი ახასიათებს ინგლისის წვრილბურჟუაზიული ახალგაზრდობის განსაზღვრულ ნაწილის სულიერ განწყობილებას.

ვოიცეხოვსკის გასამართლების წინ

ვარშავა, 11 დეკემბ. გაზეთების ცნობით, ვოიცეხოვსკის (რომელიც თავს დაესხა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ვარშავაში ამხ. ლიზარევს) საქმის გარჩევა გადაიდო 28 დეკემბრისათვის.

ვოიცეხოვსკი გასამართლებული იქნება არა მკვლელობის განზრახვისათვის, არამედ თანამდებობის პირზე თავდასხმისათვის. (ადს).

ხულიგნების დაპატიმრება

ვარშავა, 11 დეკემბერი. გაზეთების ცნობით, ლვოვის პოლიციამ საბჭოთა საკონსულოს შენობასთან დააპატიმრა ორი საეჭვო უცნობი პირი. დაპატიმრებულნი გამოტყდნენ, რომ ისინი დაიქირავა ვიღაც ჩოლოვსკიმ, რომელმაც წინადადება მისცა მათ, ჩაემტვრიათ მინები საბჭოთა საკონსულოს შენობაში. ჩოლოვსკი დააპატიმრეს. (ადს)

გომინდანის აღმასკომის ხრიკები

ხანკაო, 11 დეკემბერი. როგორც ვიცით, გომინდანის აღმასკომმა გადასწყვიტა, რომ გომინდანის მომავალ ყრილობაზე დელეგატების ნახევარი დანიშნულ იქნას. რადგან ამის წინააღმდეგ სხვადასხვა ადგილობრივმა ორგანიზაციამ პროტესტი განაცხადა, აღმასკომმა მიიღო დელეგატების ამორჩევის ახალი წესი. აღმასკომს რომ ყრილობაზე უმრავლესობა ჰყავდეს, დაადგინა: პარტიის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ პროვინციალურ განყოფილებებს დელეგატების არჩევის უფლება აქვთ; ჩამოყალიბების პროცესში მყოფ პროვინციალურ განყოფილებებს უფლება აქვთ აირჩიონ დელეგატები იმ პირთაგან, რომლებსაც აღმასკომი დაასახელებს; იმ განყოფილებებს, რომლებიც ჯერ ჩამოყალიბებულნი არ არიან, დელეგატებს აღმასკომი დაუნიშნავს.

რეიტერის სააგენტო ამის გამო აცხადებს: რადგან განყოფილებათა უმრავლესობა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ამიტომ ეს დადგენილება საშუალებას მისცემს პარტიის კონსერვატორ ლიდერებს, რომ დელეგატების ნახევარი მაინც თვითონ დანიშნონ. (ადს).

საბჭოთა მეცნიერი—საფრანგეთის აკადემიის წევრი

პარიზი, 11 დეკემბ. ჰავასის ცნობით, საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიამ ხარკოველი მეცნიერი ბერნშტეინი აირჩია თავის წევრ-კორესპონდენტად გეომეტრიის დარგში. (ადს).

მდგომარეობა ელზასში

პარიზი, 11 დეკემბერი. როცა პალატა შეუდგა ელზასისა და ლოტარინგიის ბიუჯეტის განხილვას, გრუმბახმა სოციალისტების სახელით და როშარმა, რადიკალების სახელით განაცხადეს, რომ ბიუჯეტის სწრაფი მიღების მიზნით უარს ამბობენ სიტყვების წარმოთქმაზე.

შემდეგ კომუნისტმა ბერონმა განაცხადა: პუანკარეს, აგრეთვე საფრანგეთისა და გერმანიის სოციალისტების მტკიცების მიუხედავად, ელზასი მძიმე კრიზისს განიცდის, თუმცა იგი უდავო ეკონომიურ აქტივობას იჩენს. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტები დიდ თანხებს იგებენ, მუშების ხელფასი არა თუ ჩამორჩება მოგების ზრდას, არამედ უფრო მცირეა, ვიდრე 1913 წელს იყო და ვიდრე დანარჩენ საფრანგეთში. ცხადია, ასეთ პირობებში ელზასის კაპიტალისტები უფრო მეტ პატრიოტობას იჩენენ, ვიდრე მუშები. გარდა ამისა, ელზასის მუშებს მოაკლდათ ის პენსიები, რომლებიც არსებობდა მაშინ, როცა ელზასი გერმანიას ეკუთვნოდა. რაც შეეხება რელიგიურ საკითხს, იგი ელზასში დიდ როლს თამაშობს. საარჩევნო მიზნებისათვის პუანკარემ ერთი-ორად გაუდიდა ჯამაგირი ელზასის სამღვდელოებას და ამავე დროს არც ერთი სანტიმი არ გადასდო მუშებისა და გლეხების დასახმარებლად. ასეთი პოლიტიკა ავტონომისტურ მოძრაობას მხოლოდ აძლიერებს და არ ანელებს. (ადს)

ბოლივია-პარაგვაის ომი

ბრიანი „შუამავლის“ როლში

ლუგანო, 11 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭოს ორ დახურულ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საომარი მოქმედების შესახებ ბოლივიასა და პარაგვაის შორის. ფიქრობენ, რომ ბრიანი, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, ორივე მხარეს გაუგზავნის დეპეშას, რომელშიაც ურჩევს მათ, შერიგდნენ და შუამავლად ერთა ლიგა აირჩიონ (ადს).

ლუგანო, 11 დეკემბერი. ბრიანმა, როგორც ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარემ, ბოლივიის და პარაგვაის მთავრობებს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში მოყვანილია ლიგის საბჭოს რეზოლიუცია პარაგვაის და ბოლივიას შორის არსებული კონფლიქტის შესახებ. (ადს).

იტალია და საფრანგეთი

ბრიანისა და გრანდის მოლაპარაკება

პარიზი, 11 დეკემბერი. გაზეთ „ლავორო დ'იტალია“-ს კორესპონდენტი ლუგანოდან იუწყება, რომ იქ დიდი ინტერესი გამოიწვია ბრიანის შეხვედრამ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ გრანდითან.

კორესპონდენტი იუწყება: ბრიანმა [illegible] განაცხადა, რომ „გაუთვალისწინებელი ინციდენტები არღვევენ იმ ატმოსფეროს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მოლაპარაკება აფრიკის საკითხის შესახებ კეთილსასურველად მიმდინარეობდეს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბრიანს არ მოსწონს „პუანკარეს უადგილო ფრაზა იტალიის იმპერიალიზმის შესახებ“. ბოლოს, კორესპონდენტი სწერს: „იქნებ ბრიანს მართლაც გულწრფელად სურს შეუთანხმდეს იტალიას, მაგრამ რადგან მისი წინანდელი განცხადებანი ცარიელ სიტყვებად რჩებოდა, ამიტომ უნდა მოუცადოთ ფაქტებს“. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის პრესა ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 12 დეკემბერი. გერმანიის პრესა დიდი ყურადღებით შეხვდა ამხ. ლიტვინოვის სიტყვას. უმეტეს შემთხვევაში ლიტვინოვის სიტყვა მოჰყავდათ უკომენტარიოდ, მაგრამ დამოკიდებულება ამ სიტყვისადმი გამოთქმული იყო სათაურებში, როგორც მაგალითად: „მეგობრული ურთიერთობა გერმანიასთან“, „ლიტვინოვი გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოლიტიკის წინააღმდეგ“, „საბჭოთა კავშირი მოუწოდებს განიარაღებისაკენ“, „ლიტვინოვის მოწოდება შეერთებულ შტატებისადმი“, „ლიტვინოვის პასუხი პუანკარეს“ და სხ.

„კელნიშე ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ლიტვინოვი თავის მოხსენებაში ეკამათებოდა უმთავრესად პუანკარეს, ხოლო ინგლისს უფრო ნაკლებ ეხებოდაო. შემდეგ სწერს: ჩვენ მხოლოდ კმაყოფილებით შეიძლება მივესალმოთ იმას, რომ ლიტვინოვმა ოპტიმისტურად შეაფასა ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. (ადს).

ამხ. პიატაკოვის დანიშვნა

მოსკოვი, 12 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. პიატაკოვი დანიშნა ამხ. შეინმანის მოადგილედ —შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრის თანამდებობაზე. (ადს).

საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი მექსიკაში

მოსკოვი, 12 დეკემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად მექსიკაში ამხ. პესტკოვსკის ნაცვლად დანიშნა ამხ. რიაბიკოვი. (ადს).

ამხ. ლუნაჩარსკი გაემგზავრა ციმბირში

მოსკოვი, 12 დეკემბერი. 10 დეკემბერს ამხ. ლუნაჩარსკი გაემგზავრა ციმბირში საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე სახალხო განათლების განყოფილებებისათვის სათანადო ინსტრუქციების მისაწოდებლად. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის მისალმება

პროფკავშირების მერვე ყრილობას

მოსკოვი, 12 დეკემბერი. პროფკავშირების მერვე ყრილობისადმი მისალმებაში ამხ. ვოროშილოვმა, სხვათა შორის, განაცხადა:

„ამ ბოლო დროს ჩვენ მოწმენი ვართ გააფთრებული ანტისაბჭოთა კამპანიისა. მას მარტო ბურჟუაზიული პრესა არ ეწევა. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ევროპის უდიდესი ქვეყნების, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენიც. განვლილი წლების გამოცდილებით ჩვენ ვიცით, რომ როცა ბურჟუაზია, ემზადება ჩვენთვის ლახვარის ჩასაცემად, ის წინასწარ ამზადებს საზოგადოებრივ აზრს. ასეთ მდგომარეობაში ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს. [illegible] რა მდგომარეობაში არიან ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები და იმ საშუალებების და შესაძლებლობათა მიხედვით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ შევსძლოთ ჩვენი მოვალეობის შესრულება. თავდაცვის მოწყობის საქმეში ჩვენ არ ჩამოვრჩენილვართ კავშირის მთელს მშენებლობას საერთოდ. უდავო მიღწევები გვაქვს აგრეთვე სამხედრო გაწვრთნის და მომზადების დარგში. თვალსაჩინოდ გაიზარდა წითელი არმიის ტეხნიკური სიძლიერე, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენი მიღწევები სამხედრო მშენებლობაში უშუალოდ დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიურ სიძლიერეზე. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებული კურსი, ეჭვს გარეშეა, განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას. რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, რომ თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე? უნდა ითქვას, რომ საერთოდ ომის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებით თუ მუშათა კლასს სათანადო მომენტში არ იყო ძალები, ჩვენ ადრე თუ გვიან თავზე მოგვახვევენ ომს.

ჩვენს ამოცანას შეადგენს—შევეცადოთ, რაც შეიძლება გვიან მოხდეს ეს თავდასხმა. ჩვენ გვინდა მოვიგოთ დრო ჩვენი სახელმწიფოს განსამტკიცებლად და მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. რა საშუალებებია ამისათვის ჩვენს განკარგულებაში? პირველ ყოვლისა, საჭიროა იმპერიალისტების ზრახვების გამოაშკარავება. საჭიროა, ბურჟუაზიული ქვეყნების მუშებმა და გლეხებმა, ინტელიგენციამ და საშუალო ფენებმა იცოდნენ, რომ ბირჟის სვავები და მრეწველობის მეფეები ამზადებენ ახალ ომს. საჭიროა იმპერიალისტური მთავრობების ნამდვილი ზრახვების გამომჟღავნება, სამხედრო კონვენციების, შეთანხმებების და გენერალთა მოგზაურობის ნამდვილი მიზნების განმარტება მასებისათვის. მაგრამ ეს არა კმარა. უნდა გავფანტოთ ჭორები საბჭოთა კავშირის შესახებ. დასავლეთის მშრომელმა მასებმა უნდა იცოდნენ სიმართლე იმ პროლეტარულ სახელმწიფოს შესახებ, რომელიც შეუსვენებლივ მუშაობს სოციალიზმის მშენებლობისათვის, რომელიც თავდაცვისათვის მინიმალურ საშუალებებს ხარჯავს (ბიუჯეტის 11 პროცენტს); იმ დროს, როცა მისი მტრები თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი არიან (შეიარაღებაზე ხარჯავენ ბიუჯეტის 35—45 პროცენტს). ჩვენ ყველგან ხმა მაღლა უნდა განვაცხადოთ, რომ მუშათა და გლეხთა ქვეყანა მუდამ მხარს უჭერდა და მხარს დაუჭერს მშვიდობიანობას ჩვენ ომის წინააღმდეგნი ვართ, ომი ჩვენთვის არ არის საჭირო და ყოველგვარი ბრალდება წითელ იმპერიალიზმში არის ჩვენი კლასობრივი მტრების მიერ გამოგონილი ბოროტი ჭორი და საკუთარი იმპერიალისტური ზრახვების დაფარვის საშუალება. დაე, მთელი ქვეყნის მშრომელებმა იცოდნენ, რომ ჩვენ მტკიცედ და თანამიმდევრობით ვატარებთ სამშვიდობო პოლიტიკას. მაგრამ, თუ, მიუხედავად ამისა, იმპერიალისტებმა თავზე მოგვახვიეს ომი, თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები, წითელი არმია და წითელი ფლოტი, ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას“. (ადს).

საარჩევნო ტერორი

ვენა, 11 დეკემბერი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, რუმინეთის მუშურ - გლეხური ბლოკის საარჩევნო კამპანია სასტიკ ტერორის პირობებში მიმდინარეობს. ლიბერალების პრესა მოითხოვს მუშურ - გლეხური ბლოკის წინააღმდეგ სახელმწიფოს დაცვის კანონის გამოყენებას და ბლოკის საკანდიდატო სიების გაუქმებას. ლიბერალური გაზეთები მოითხოვენ აგრეთვე საალყო წესების აღდგენას ბესარაბიაში. ბუქარესტსა და სხვა ქალაქებში ბლოკის საარჩევნო კრებები აკრძალულია (ადს).

სარკინიგზო კონფერენციები გერმანიაში

მოსკოვი. 12 დეკემბერი. 10 იანვარს ფრანკფურტში (მაინზე) მოხდება რკინის გზის ორი კონფერენცია საკონვენციო-სატარიფო და სავაგონო-ტეხნიკური საკითხების გამო. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის, ლიტვისა და ესტონეთის წარმომადგენელნი. კონფერენციები განიხილავს სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც შეეხება მიმოსვლის განვითარებას და გაუმჯობესებას გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის (ტრანზიტით ლატვიისა, ლიტვისა და ესტონეთში). საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარედ დანიშნულია გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამხ. სვერჩკოვი. (ადს).

თავდასხმა მუშებზე

ვარშავა, 11 დეკემბერი. ვარშავაში პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელები თავს დაესხნენ მეპურეთა პროფკავშირის წევრების კრებას. კავშირის ზოგიერთ წევრს დასჭრეს ხანჯლით და რევოლვერის ტარით. პოლიციამ დააპატიმრა ყველა, ვისაც შეტაკების ადგილზე მოუსწრო. ამის შემდეგ რაზმელები დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეს, ხოლო კავშირის წევრები პოლიციაში გააჩერეს საღამომდე (ადს).

მემაღაროეთა ბრძოლა

ვენა, 11 დეკემბერი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, ჟილავის ხეობის მემაღაროეთა ბრძოლა ხელფასის გადიდებისთვის ძლიერდება. უნიტარული პროფკავშირების საბჭომ მოიწვია ჟილავის მემაღაროეთა საერთო კონფერენცია. დღის წესრიგში შეტანილი იყო საკითხი პროფმოძრაობისათვის რევოლიუციონური ხელმძღვანელობის შექმნის შესახებ. რეფორმისტები დაქირავებული ბანდების დახმარებით თავს დაესხნენ უნიტარებს და შეეცადნენ კონფერენციის ჩაშლას (ადს).

აჯანყებულთა თავდასხმა ფრანგ ოფიცრებზე

პარიზი, 11 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ორანიდან (საფრანგეთის ჩრდილო აფრიკა) მიღებული ცნობებით, აჯანყებულები (ბეშარის სამხრეთ რაიონში) თავს დაესხნენ ფრანგების სამხედრო ავტომობილს, რომლებშიაც ისხდნენ ფრანგი ოფიცრები. მოჰკლეს პოლკოვნიკი, დასჭრეს ორი ოფიცერი და სამი ჯარისკაცი, 1 ჯარისკაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა. (ადს)

ჰამბურგის მუშების გაფიცვა

ბერლინი, 11 დეკემბერი. ჰამბურგის გემთამშენებელი მუშების გაფიცვა გრძელდება. სამედიატორო ინსტანციამ მოითხოვა, რომ კონფლიქტი განსახილველად გადასცემოდა საგანგებო სამედიატორო სასამართლოს. მუშების წარმომადგენლებმა, რომლებსაც გათვალისწინებული აქვთ რურის მრეწველების მაგალითი, ეს წინადადება უარჰყვეს. (ადს)

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მაღაროების გამომკვლევ კომისიის დასკვნა

მოსკოვი, 12 დეკემბერი. მოსკოვის გაზეთები ათავსებენ ცნობას იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ჩაატარა ჭიათურის მაღაროების გამომკვლევ სპეციალურმა კომისიამ.

მოსკოვის გაზეთებს აცნობებს აგრეთვე სათანადო სამეურნეო ორგანოებიდან, რომ მიღებულია ყოველივე ზომები ჭიათურის მაღაროების ექსპლოატაციის მოსაწესრიგებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული მარგანეცის ტრესტის მომარაგებას შესაფერი ტეხნიკური მოწყობილობით. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადიდებული იქნება ტრესტის პროგრამა.

უნდა მოხდეს გარდატეხა საბინაო აღმშენებლობაში

მოსკოვი, 12 დეკემბერი. „პრავდა“ თავის დღევანდელ ნომერში ეხება საბინაო კოოპერაციის ყრილობის მუშაობას და აღნიშნავს, რომ უნდა მოხდეს გარდატეხა საბინაო აღმშენებლობის დარგში. პირველყოვლისა საჭიროა ამ საქმეში უფრო აქტიურად იქნან ჩაბმულნი დაინტერესებული სამეურნეო ორგანოები და კოოპერაცია. გარდა ამისა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ საბინაო აღმშენებლობის მაქსიმალურად გაიაფებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბინის კრიზისს კიდევ დიდხანს ექნება მასიური ხასიათი.

ფეხსაცურავებით გადარბენა საქ. სამხედრო გზაზე

მოსკოვი, 12 დეკემბერი. რუსეთის ტურისტული საზოგადოებამ განაცხადა, რომ ის თანახმაა მოაწყოს საქართველოს ტურისტების საზოგადოებასთან ერთად ფეხსაცურავებით გადარბენა საქართველოს სამხედრო გზაზე. გადარბენა მოხდება მომავალ წლის იანვარში. რუსეთის ტურისტების საზოგადოებამ გამოჰყო საუკეთესო სპორტსმენები გადარბენაში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ცაკის მეოთხე სესია

კამათი ამხ. ლიტვინოვის მოხსენების გამო

მოსკოვი, 12 დეკემბერი. ამხ. ლიტვინოვის მოხსენების გამო პირველად გამოვიდა ამხ. ლარინი.

ამხ. ლარინის სიტყვა

„ამხ. ლიტვინოვმა გამოაქვეყნა პუანკარეს განცხადება. პუანკარეს უთქვამს: თუ ჩვენი ქვეყანა ნამდვილად მზად არის განიარაღდეს, პუანკარე თითქმის დღესვე აჰყრის იარაღს თანამედროვე კაპიტალისტური საფრანგეთის ჯარს. მე ვფიქრობ,—სთქვა ამხ. ლარინმა,—ლიტვინოვი მეტად სერიოზულად მოეკიდა პუანკარეს განცხადებას.

ჩვენი თერთმეტი წლის გამოცდილებით ვიცით, რომ ეს განცხადებები ორნაირია: როდესაც ასეთი განცხადება პირდაპირ და გარკვეულად მიმართულია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და როდესაც ის ემუქრება გამარჯვებული პროლეტარიატის შემოქმედებითს მუშაობას, მას სერიოზული და გულწრფელი ხასიათი აქვს; ხოლო როდესაც ამგვარი განცხადება შეიცავს თანხმობას ჩვენ პაქტთან და პირდაპირ წინადადებაზე, მაშინ მას არავითარი ღირებულება არა აქვს. ასეთი განცხადების ღირებულება, მაშინაც კი, როცა ის ქაღალდზე იბეჭდება დამოკიდებულია არა განცხადების თვისებაზე, არამედ ქაღალდის ხარისხზე (ტაში).

ამიტომ მე ვურჩევ მთავრობას—ძალიან ნუ ენდობა ასეთ განცხადებებს, ძალიან ნუ ზრუნავს ამჟამად იმაზე, თუ როგორი წესით მოვახდენთ ჩვენ ჩვენი წითელი არმიის განიარაღებას და დემობილიზაციას და როდის დაგვეთანხმება „პუანკარეს მთავრობა“. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ნამდვილი მდგომარეობის გამოაშკარავებას მთელი ქვეყნის მშრომელთა წინაშე და ჩვენი თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას. მე მივესალმებოდი, ამხ. ლიტვინოვი თავის სიტყვაში რომ მეტი სკეპტიციზმით მოპყრობოდა კაპიტალისტურ მთავრობათა განცხადებებს და სულისკვეთებას, განსაკუთრებით იმ ქვეყნების, რომელთაც, როგორც რუმინეთს, ფორმალურადაც არ სურთ ჩვენთან რაიმე საქმე იქონიონ“.

ამხ. ლარინმა აღნიშნა, რომ კაპიტალისტებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს საკმაოდ აშკარად ამზადებენო.

„სულ რამდენიმე კვირის წინეთ,—სთქვა მან,—ევროპის ყველა გაზეთი სავსე იყო ინგლისის სამხედრო საზღვაო ფლოტის დიდი მანევრების აღწერით. ხსენებულ ფლოტს დაევალა—მოეწყო აღმოსავლეთ- ევროპის ერთ-ერთ სახელმწიფოს დიდ დედაქალაქზე უეცარი სამხედრო-საზღვაო თავდასხმის რეპეტიცია. მე ვფიქრობ, რომ ინგლისის სამხედრო ფლოტი იმუშავებდა ისეთ გეგმას, რომლის მიზანსაც არ შეადგენდა უეცარი თავდასხმა ვარშავაზე, თუ ასეა, მაშინ აღმოსავლეთ ევროპის ერთად-ერთი ქვეყანა, რომელიც ამ შემთხვევაში ინგლისს აინტერესებს, არის ის, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ამავე დროს ინგლისის იარაღით შეიარაღებული ზოგიერთი აჯანყებული ტომი ავღანისტანში მანევრებს აწყობს ჩვენი მეზობლის და ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ავღანისტანის ტერიტორიაზე: შესაძლებელია მხედველობაში მყავს არა იმდენად ავღანისტანი, რამდენად მისი დიდი მეზობელი. იმ დროს, როდესაც ადგილი აქვს ამ აშკარა და ფარულ მანევრებს, ინგლისისა და საფრანგეთის გენერლები „კერძოდ“ მოგზაურობენ ჩვენ მოსაზღვრე სხვადასხვა სახელმწიფოში. თუმცა ამხ. ლიტვინოვს სწამს, რომ ამ მოგზაურობებს მართლაც კერძო ხასიათი აქვს, მაგრამ, თუ უცხოეთის გაზეთებს გადავათვალიერებთ დავინახავთ, რომ ეს ფრანგი და ინგლისელი მოგზაური გენერლები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის შესახებ რუმინეთისა და პოლონეთის დედა-ქალაქებში აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მუშავდება საზოგადოებრივი აზრი და სწარმოებს ჩვენ წინააღმდეგ ომის ტექნიკურად მომზადება. მომავალი ომის გასაადვილებლად, ინგლისის კაპიტალისტების ჯგუფი, რომელიც დღეს ხელისუფლების სათავეში სდგას, თავის ავტონომიურ კოლონიებში და შინ ამზადებს საზოგადოებრივ აზრს, თან აწყობს სამხედრო კავშირებს სხვა სახელმწიფოების ბურჟუაზიასთან, პირველ რიგში—საფრანგეთთან. მართალია, არის გარემოება, რომელიც მაფიქრებინებს, რომ მიუხედავად სამი მიმართულებით წარმოებული გაძლიერებული მუშაობისა, მოსალოდნელი არ არის, რომ მაინცა და მაინც დიდ გამარჯვებას მიაღწიოს თუნდაც იმავე ინგლისმა“.

ამხ. ლარინმა აღნიშნა, რომ, მეორეს მხრივ, არ გამართლდა ინგლისის მთავრობის იმედი, რომ მას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთსულოვნად მხარს დაუჭერდნენ მისივე რესპუბლიკები. ასე, მაგალითად, ინგლისის სახელმწიფოს ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ირლანდიის რესპუბლიკამ, განაცხადა, რომ მას სურს და მზად არის უშუალო დამოკიდებულება დაამყაროს საბჭოთა კავშირთან, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისმა ჩვენთან კავშირი გაწყვიტა.

შემდეგ ამხ. ლარინმა დახატა ინგლისის უდიდესი იმპერიის თანდათანი დაშლის სურათი და სთქვა, რომ ინგლისი ეძებს გამოსავალს ამ დაშლის თავიდან ასაცდენათ და უკავშირდება სხვა სახელმწიფოს, უპირველესად კი საფრანგეთის ბურჟუაზიას. მაგრამ ბურჟუაზიის წარმომადგენელთა კავშირი დამყარებულია იმაზე, რომ ერთმანეთი მოატყუონ. ეს კავშირი გულისხმობს გალესილ დანას ჯიბეში და „მეგობრული ურთიერთობის პროცესში“ მოკავშირის გადაყლაპვას. შემდეგ ამხ. ლარინმა მოიყვანა განცხადება ფრანგი გენერლის იუგეს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლად იყო ინგლისში. განცხადებაში იუგე თავის მოკავშირე-ინგლისელებს უწოდებს „ხარბ ადამიანებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ ფულით შეიძლება ყველაფერი იყიდო და რომელთა რელიგია თვალთმაქცობაა“-ო. ამხ. ლარინმა სთქვა:

„ინგლისის ამ დახასიათების შემდეგ, ნება მომეცით დავიცვა ინგლისის მშრომელი ხალხი. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის მთელი ხალხი თვალთმაქცებისა, არამზადებისა და ანგარების მოყვარეთაგან არ შესდგება, როგორც ამას გვიხატავენ მისი მოკავშირენი, საფრანგეთის არმიის ხელმძღვანელები. ინგლისის ხალხს ბევრი რამ მოუცია წარსულში და იგი ეხლაც გვაძლევს მეცნიერებისა და სულიერი კულტურის მსოფლიო მნათობებს. ინგლისის ხალხს წარმოუშვია ისეთი ადამიანები, რომელნიც დაჩაგრულებს ემხრობოდნენ მაშინ, როცა ინგლისელი კაპიტალისტები ვინმეს უსამართლოდ სჩაგრავდნენ. როდესაც ინგლისის მთავრობა ანხორციელებდა ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენს წრეში იყვნენ ინგლისელები, რომელნიც ინგლისიდან მოდიოდნენ და ჩვენ გვემხრობოდენ. დაჩაგრულ ჩინეთთან ომისა და ჩინეთში ინგლისის ინტერვენციის დროს მრავალმა პატიოსანმა ინგლისელმა დასტოვა ინგლისი იმ მიზნით, რომ მებრძოლი ჩინეთის მხარეზე გადასულიყო.

თვით ინგლისში მრავალი ათასი ადამიანი იჩაგრება და განიცდის ყოველგვარ გასაჭირს, მაგრამ ისინი აწარმოებენ მტკიცე ბრძოლას, როგორც პოლიტიკურს, ისე საგაფიცვო ბრძოლას—ინგლისის კაპიტალისტების წინააღმდეგ“-ო.

ამხ. პორაიკოს სიტყვა

ამხ. ლარინის შემდეგ გამოსული უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის წარმომადგენელი ამხ. პორაიკო თავის სიტყვაში შეეხო პოლონეთთან ურთიერთობას.

„ამხ. ლიტვინოვმა სთქვა, რომ პოლონეთთან ჩვენ ძალიან თავაზიანი ურთიერთობა გვაქვსო,—სთქვა ამხ. პორაიკომ,—მაგრამ, როგორც სჩანს, ეს საკმაო არ არის. როგორ უნდა შევაფასოთ ის ფაქტი, რომ პოლონეთის სეიმის ტრიბუნიდან გაისმის ხმები ინტერვენციის შესახებ საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ? როგორ უნდა შევაფასოთ გენერალ მინკევიჩის გამოსვლა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის საზღვარზე პილსუდსკის ძეგლის გახსნის დროს, იმ მინკევიჩისა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ძეგლი საზღვარზე კი არ უნდა იყოს, არამედ პოლონეთის რესპუბლიკის შუა გულში“?

შემდეგ ამხ. პორაიკო შეეხო დღემდე პოლონეთის ტერიტორიაზე მოხეტიალე ეგრედწოდებული უკრაინის მთავრობის ანტი-საბჭოებრივი ხასიათის მოღვაწეობას. მან სთქვა:

„ხომ ეწინააღმდეგება ასეთი მოქმედება იმ ხელშეკრულებას, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის? ეს ფაქტები მოწმობენ, რომ პოლონეთში ადგილი აქვს მტრულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

ამხ. ელიავამ თავისი სიტყვა დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ სპარსეთისა და თურქეთის მოსაზღვრე ამიერ-კავკასიის ხალხები უკეთეს მდგომარეობაში არიან და მათ უკეთესი მეზობლობა აქვთ, ვიდრე რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკას, უკრაინასა და ბელორუსიას, რომელნიც უშუალოდ ეკვრიან აგრესიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები დაშორებულნი არიან ამ სახელმწიფოებს, ეს უკანასკნელები საბჭოთა წინააღმდეგ მიმართულ თავიანთ გეგმებში მაინც სათანადო ადგილს უთმობენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს.

ამხ. ელიავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის არსებულ ოფიციალურ დამოკიდებულებისა, საფრანგეთში დღემდე თავშესაფარი აქვს და ოფიციალური წარმომადგენლობა ჰყავს დემოკრატიულ საქართველოს მთავრობას, რომლის ლიკვიდაციაც დიდი ხანია მოხდა. პოლონეთის ტერიტორიაზე თავშესაფარს პოულობენ მთელი რიგი აქტიური ემიგრანტები, რომელნიც საბჭოთა ამიერ-კავკასიისადმი მტრულად არიან განწყობილნი. იქვე იმართება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, განსაკუთრებით საქართველოს, წინააღმდეგ მომუშავე ანტისაბჭოთა პარტიების თათბირები და მოლაპარაკებები. ინტერესი ჩვენი ბედ-იღბლისადმი გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებით, რომ დაინტერესებულნი არიან ჩვენი ბაქოს ნავთით. ინგლისისა და ზოგიერთი ფრანგი გენერლის მაღალი მფარველობით და პოლონეთის გენერალური შტაბის უახლოესი ხელმძღვანელობით მზადდება ჩვენი კავშირიდან უკრაინის ჩამოშორება და უკრაინასთან ერთად ჩამოშორება ბელორუსიის და მათთან ერთად ამიერ-კავკასიისაც. თავის დროზე ჩვენ ღირსეულად მოვსპეთ ინტერვენცია. ამჟამად ჩვენ დაუღალავი შრომით ვამაგრებთ ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლებას და ვაშენებთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს. ეს გარემოება ვერ უპატიებია ჩვენთვის იმპერიალისტურ კაპიტალს. ის ვერ შერიგებია იმას, რომ ჩვენ ხელში არ ჩაუვარდით კაპიტალს, როგორც ჩაუვარდა მას ხელში მრავალი კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყანა. ამიტომაა, რომ ის სახელმწიფოები ჩვენს წინააღმდეგ ურიცხვი ინტრიგების ქსელს აბამენ, ამიტომ სურთ მათ თავს დაგვესხან, ხელი შეუშალონ ჩვენს მშენებლობას.

„მე არ შემიძლია არ აღვნიშნო,—სთქვა ამხ. ელიავამ,—რომ ამ ქვეყნების აგრესიული გამოსვლები არასოდეს არ პოულობენ ჩვენი მთავრობის მხრივ იმ წინააღმდეგობას, რომელიც შეეფერება კავშირის მშრომელთა ფართო მასების სულისკვეთებას. მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ საბჭოთა მთავრობას, რომელიც მთელს დედამიწაზე მშვიდობიანობისათვის მებრძოლი ერთად ერთი მთავრობაა, სხვანაირად არ შეუძლია მოიქცეს“.

ამხ. ახუნდბაბაევის სიტყვა

კამათის დროს გამოსულმა ამხ. ახუნდბაბაევმა (უზბეკისტანი) დასურათა თურქესტანის მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციამდე და განაცხადა, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ და პროლეტარიატის დიქტატურამ გაანთავისუფლა შუა-აზია იმპერიალიზმის მონობისა და ფეოდალური წყობილების დროის ემირების, ხანების და მოხელეების უღლისაგან. ამასთანავე ახუნდბაბაევმა აღნიშნა, რომ შუა-აზიის ხალხებმა უსასტიკესი ბრძოლა გადიტანეს დუტოვის, ხემოხოვის, გენერალ ენვერ-ფაშის და ბასმაჩების ბანდების წინააღმდეგ, რომლებსაც ყოველი სახის იარაღს ინგლისის მთავრობა აწვდიდა. დეხკანებთან და მუშებთან ერთად წითელმა არმიამ გაანადგურა ეს ბანდები, რის შემდეგაც შუა-აზიის მშრომელებისათვის შესაძლებელი გახდა შესდგომოდნენ კულტურულ და სამეურნეო მშენებლობას. მაგრამ უკანასკნელ ხანებში კვლავ სცდილობენ ჩვენი მეზობელი ერების საქმეში ჩარევას და იმათი საშუალებით ჩვენს საქმეებშიაც ჩარევას. საკავშირო მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ინგლისის აგრესიულ პოლიტიკას. ჩვენ ვიწონებთ საბჭოთა კავშირის მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას და ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა, თუ ჩვენმა მტრებმა იარაღი აღმართეს ჩვენს წინააღმდეგ.

ამხ. კურცის სიტყვა

უკანასკნელმა ორატორმა ამხ. კურცმა (ვოლგის რაიონის გერმანელთა რესპუბლიკა) თავისი სიტყვის მთავარი ნაწილი მოანდომა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დამოკიდებულების დახასიათებას და აღნიშნა, რომ ეს დამოკიდებულება კაპიტალისტური ქვეყნისა და საბჭოთა ქვეყნის კეთილმეზობლურ დამოკიდებულების მაგალითია.

სიტყვები—წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. დუბინმა (ბელორუსია) და ვოლკოვმა (რუსეთი).

ამხ. ფ. ხოჯაევის მოხსენება

მოსკოვი, 12 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის ეროვნებათა საბჭოს და საკავშირო საბჭოს 11 დეკემბრის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ხოჯაევის მოხსენების გამო უზბეკისტანის მთავრობის მუშაობის შესახებ. რეზოლუციის შესამუშავებლად არჩეულია კომისია ამხ. ენუკიძის თავმჯდომარეობით.

11 დეკემბერს საღამოს შესდგა საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ფაიზულა ხოჯაევის საბოლოო სიტყვა.

შემდეგ მოხსენება 1928-29 წლის საბჭოების არჩევნების შესახებ გააკეთა ამხ. კალინინმა. (ალხ).

საბჭოთა მომავალი არჩევნები

ამხ. მ. კალინინის მოხსენება

მოსკოვი 12 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის 11 დეკემბრის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს ამხ. ჩერვიაკოვი.

მოხსენება 1928-29 წლის საბჭოების არჩევნების შესახებ გააკეთა ამხ. კალინინმა, რომელსაც მხურვალე ტაშით შეეგებნენ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოების გადარჩევას დიდ ყურადღებას აქცევს თეთრ-გვარდიელთა საზღვარგარეთის პრესა.

არჩევნების ხასიათი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში

მილიუკოვის გაზეთი,—სთქვა ამხ. კალინინმა,—დაახლოვებით ასე სწერს: „რას ღელავენ ბოლშევიკები, მათი არჩევნები ხომ ისეთი არაა, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშია. ძალთა ძირითადი განწყობილება არ იცვლება. მთელი ხელისუფლება ადგილზე რჩება პროლეტარიატის დიქტატურაც არ იცვლება. მაშ რატომ აძლევენ ბოლშევიკები ასე დიდ მნიშვნელობას ამ არჩევნებს, დიდ ყურადღებას აქცევენ არჩევნების მოწყობა“-სო. საბჭოთა არჩევნების საკითხს იხილავს „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-იც. მენშევიკური გაზეთის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მენშევიკების ძველი ბელადი დანი სწერს, რომ „საბჭოთა არჩევნები, კომპარტიის პოლიტიკური მონოპოლიის მიუხედავად, უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საქმედ გადაიქცნენ მისთვისო“. ამ წერილში დანი ამბობს, რომ ბოლშევიკები დიდ ძალღონეს ხარჯავენ არჩევნების მოსაწყობად, რათა შეამოწმონ მასების განწყობილება და „თანაგრძნობა მოიპოვონ ამ მასებშიო“.

ამხ. კალინინი ჩერდება ორივე ამ შეფასებაზე და აღნიშნავს, რომ არც ერთი მათგანი შემთხვევით ხასიათს არ ატარებს მილიუკოვის მიმდევართა პირით მათი პარტიული იდეალები მეტყველებენ. ბურჟუაზიულ ჯგუფები არჩევნებში მხოლოდ ბიულეტენს ხედავენ, არჩევნებში ისინი იმიტომ კი არ იღებენ მონაწილეობას, რომ თავიანთი იდეალები განახორციელონ (მთელი მათი „იდეალი“ იმით განისაზღვრება, რომ განამტკიცონ არსებული კაპიტალისტური წყობილება). მათ მხოლოდ ის სურთ, რომ ისინი აირჩიონ. როდესაც მენშევიკები ამბობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არჩევნების დროს სცდილობს მოიპოვოს მასების თანაგრძნობა, ისინი რამდენადმე მართალნი არიან.

ჩვენ იმიტომ მივდივართ არჩევნებზე, რომ მოვიპოვოთ მასების თანაგრძნობა, დავეყრდნოთ ამ მასებს. მაგრამ ეს ჩვენი ამოცანის მხოლოდ ნახევარია. მარტო ამით რომ ვკმაყოფილდებოდეთ, არსებითად „კუდში მაჩანჩალები“ ვიქნებოდით. საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია მარტო იმიტომ კი არ მიდიან არჩევნებზე, რომ მოიპოვონ მასების თანაგრძნობა, არამედ იმიტომაც, რომ გაავრცელონ მათ შორის თავიანთი იდეალები და მისწრაფებანი, ჩააბან მასები სოციალიზმის მშენებლობაში. საარჩევნო კამპანია იმ ქვეყანაში, რომელშიაც არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, ის მომენტია როდესაც ჩვენ, სოციალიზმის მშენებლებმა, ფართოდ უნდა გადავუშალოთ მუშურ-გლეხურ მასებს ჩვენი მიზნები და იდეალები, და უნდა მოვიმხროთ ეს მასები. ეს ისეთი აქტიური როლია, რომელიც სრულებით არ ახასიათებს არც ბურჟუაზიას და არც რეფორმისტებსა და მენშევიკებს. საბჭოების ყოველი ახალი არჩევნები გვაძლევენ ჩვენ ქალაქისა და სოფლის მუშაკთა ახალ აქტივს. ამ აქტივის რიგებში შედიან უპარტიონი, სოციალიზმის მშენებელთა ფართო რიგები. ამ თვალსაზრისით ჩვენს საარჩევნო კამპანიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი შედარება დასავლეთ ევროპის ან ამერიკის საარჩევნო კამპანიებთან. ჩვენ არა თუ ვეყრდნობით მასებს, არამედ კიდევაც წინ ვუძღვებით მათ.

საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები სოფლად

ამხ. კალინინი ეხება იმ ამოცანებს, რომლებიც დგანან საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სოფლად და აღნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე სდგას სერიოზული ამოცანა—გლეხობის მთელი მასა გადავიყვანოთ სოციალისტური მშენებლობის ახალ რელსებზე. მიმდინარე წელს საბჭოთა მთავრობა საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად გაიღებს 70 მილიონ მანეთს. ასეთი ამოცანა, რომ იდგეს ფორდის წინაშე, ის მიწის საუკეთესო ნაკვეთებს შეისყიდდა.

როდესაც საბჭოთა მთავრობა შეუდგა საბჭოთა მეურნეობების მოწყობას, მან გადასწყვიტა საამისოდ გამოიყენოს ისეთი მიწები რომლებსაც ვერ ამუშავებენ ან გაჭირვებით ამუშავებენ გლეხები. საბჭოთა მთავრობა ყურადღებას აქცევს მასის ინტერესებს, იცავს და იფარავს მათ.

როგორ უნდა ვებრძოლოთ კულაკს

შემდეგ ამხ. კალინინი შეეხო სოფლად არსებულ ჯგუფებს. მან აღნიშნა რომ ბრძოლა კულაკთან უნდა იყოს არა მარტო მატერიალური, არამედ იდეოლოგიურიც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულაკიც ერთგვარ დადებით როლს თამაშობს სოფლად და ზოგჯერ მასაც შეუძლია დაეხმაროს ღარიბ და საშუალო გლეხს. საქმე ის კი არ არის, რომ კულაკი მოვსპოთ, ეს უბრალო საქმეა. მაგრამ დღეს რომ ერთ კულაკს მოვსპობთ, ხვალ ახალი კულაკი გაჩნდება: ისინი ისე იზრდებიან, როგორც სოკოები ნოყიერ ნიადაგზე. საჭიროა ბრძოლა თვით იმ ნიადაგთან რომელზედაც იზრდება კულაკი. ის დადებითი როლი, რომლის შესრულებაც კულაკს შეუძლია, უნდა იკისროს კოოპერაციამ. მისი მუშაობა უნდა იყოს არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლოც.

ამხ. კალინინი მოუთხრობს სხდომას, რომ მასთან ერთხელ მივიდა გლეხი ქალი—სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და მოუყვა, თუ როგორ ებრძვის იგი ორი წლის განმავლობაში კულაკს. მათ შორის თავაზიანი ურთიერთობაა. ისინი თქვენობით ელაპარაკებიან, სახელით და მამის სახელით იხსენიებენ ერთმანეთს. ბრძოლა კი მათ შორის მედგარი და სასტიკი, მაგრამ ეკონომიური. სოფლის საბჭოსაც აქვს აგურის ქარხანა და კულაკსაც. სოფელი ორ ნაწილად გაიყო: ზოგი ემხრობა კულაკს, ზოგი—სოფლის საბჭოს. სოფლის საბჭო მტკიცედ ანხორციელებს თავის ხაზს და იმარჯვებს ნაწარმოების ფასით და ხარისხით. აი ეს არის ნამდვილი ღრმა კლასობრივი ბრძოლა. ასეთი ბრძოლა უნდა გაუმართოს კულაკს კოოპერაციამ, რომელშიაც ჩაბმულნი არიან დიდი ძალები, ჩვენი გლეხობის საუკეთესო ძალები. ჩვენი კლასობრივი ბრძოლის ამ ფრონტს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა პრესამ.

მომავალი არჩევნების მნიშვნელობა

შემდეგ ამხ. კალინინი ჩერდება მომავალი არჩევნების საკითხზე და აღნიშნავს, რომ, როგორც პირველი ცნობებიდან სჩანს, ეს არჩევნები უფრო გაცხოველებული იქნება ვიდრე წინა არჩევნები. განსაკუთრებით გაცხოველებულად ჩაივლის საარჩევნო კამპანია თვით გლეხობის მასების შიგნით. საარჩევნო კამპანიის დროს უნდა ვაწარმოოთ ულმობელი თვითკრიტიკა, ფართოდ უნდა განვიხილოთ ყველა ჩვენი ნაკლი და შეცდომა. ამ საარჩევნო კამპანიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს არის მთელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური დღესასწაული. ამ კამპანიის დროს სახალინის ნავთის კონცესიებიდან აფხაზეთის პლანტაციებამდე ჩვენ შეგვიძლია მუშებისა და გლეხების ყურადღება მივაპყროთ საერთო საკავშირო მიზნებს. მარტო ეს მოწმობს, რომ საარჩევნო კამპანიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა და პარტიულმა მუშაკებმა (ხანგრძლივი განუწყვეტელი ტაში).

კამათი ამხ. კალინინის მოხსენების გამო

კამათი ამხ. კალინინის მოხსენების გარშემო გაიმართა ორივე პალატის საერთო სხდომაზე. პირველად გამოვიდა ამხ. იან პოლუიანი (რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა), რომელიც შეეხო მასების, განსაკუთრებით ქალების არჩევნებში მაქსიმალურად ჩაბმის ამოცანას, აგრეთვე საარჩევნო კომისიების სწორი გეგმიანი ხაზის აუცილებლობას. ორატორმა აღნიშნა ისეთი შემთხვევები, როდესაც კულაკებს საარჩევნო უფლებები არ ერთმევათ და პირიქით, მოჯამაგირეთა მთელი ჯგუფები ჰკარგავენ ამ უფლებებს.

უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ამხ. სტეფანოვიჩის ქალი შეეხო კამპანიის საორგანიზაციო საკითხებს.

ამხ. მლასენკომ (უკრაინის ს. ს. რესპუბლიკა) აღნიშნა კულაკების ორგანიზაციული შეკავშირებისა და აქტივობის ზრდა და საჭიროდ ჩასთვალა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის დარაზმვა მათ წინააღმდეგ.

სხდომა დამთავრდა ამხ. მასილნიკოვის (ციმბირი) და ამხ. დისნის გამოსვლებით. (ალხ).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება,

რომელიც დანიშნული იყო ა. წ. 11 დეკემბერს, გადადებულია და შესდგება 14 დეკემბერს საღამოს 6 საათზე თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (კორესის ქ.).

11 დეკემბრისათვის დარიგებული ბილეთები ძალაში რჩება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

საბჭოთა არჩევნები

მუშებო და გლეხებო! მიიღეთ აქტიური მონაწილეობა არჩევნებში, განამტკიცეთ თქვენი სახელმწიფოს აპარატი!

საბჭოთა არჩევნები და პროფკავშირები

ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება

თბილისის პროფაქტივის გაფართოებულ კრებაზე

გუშინ საღამოს ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა თბილისის პროფაქტივის გაფართოებული კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ი. ვარძიელის საინსტრუქციო მოხსენება პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში.

საბჭოთა რესპუბლიკებს,—ამბობს მომხსენებელი,—არჩევნების ჩატარება უხდება განსაკუთრებულ პირობებში. საბჭოთა კავშირი იმყოფება ომის მუდმივი საფრთხის წინაშე. მეორე მხრივ მუშათა კლასის წინაშე სდგას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული საკითხები. ეს ორი ძირითადი გარემოება გვავალებს შევქმნათ ისეთი საბჭოთა ორგანოები, რომლებიც შესძლებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას და პრაქტიკული მუშაობის გაწევას სოციალისტური მშენებლობის დარგში. ასეთი ორგანოების შექმნა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა ფართო მასები ჩაბმული იქნებიან საბჭოთა ორგანოების ყოველდღიურ ეკონომიურ და კულტურულ მუშაობაში.

მიმდინარე არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა პარტიულმა, პროფესიონალურმა, კოოპერ. და საზოგ. ორგანიზაციებმა. არჩევნებს უნდა მიეცეს უდიდესი ფართო ხასიათი და არ უნდა დარჩეს არც ერთი ორგანიზაცია, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიაღებინოს მის გარშემო დარაზმულ მშრომელთა ფენებს.

არჩევნების წარმატება დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩატარდება საანგარიშო კამპანია. ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ საანგარიშო კამპანიამ მიიზიდოს, რაც შეიძლება მეტი მშრომელნი. საანგარიშო კამპანიამ უნდა გამოააშკარაოს არა მარტო საბჭოების, არამედ ყველა ჩვენი ორგანიზაციების (კოოპერატიული იქნება იგი საბჭოთა, თუ საზოგადოებრივი) ნაკლოვანებანი და წარმატებანი. ამისათვის კი საჭიროა ფართო გასაქანი მიეცეს ამრჩეველთა კრიტიკას, მათ მიერ საბჭოების, კოოპერატიულ და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას. არ უნდა დარჩეს არც ერთი საბჭოთა დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლის მუშაობა გაშუქებული არ იქნება ამომრჩეველთა საანგარიშო კრებებზე. მოხსენებები უნდა იყოს გასაგები და მკაფიო, ყველა იმ საჭირბოროტო საკითხების შემცველი, რომელიც ამრჩეველთა კრებას აინტერესებს. მომხსენებლებმა არ უნდა დაივიწყონ პასუხის გაცემა იმ შეკითხვებზე, რომელნიც ჩვენს სიძნელეებს შეეხება. იქნება ასეთი შეკითხვა სურსათ-სანოვაგის კრიზისზე, თუ ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მტკივნეულ ამოცანებზე. დიდი გულისყურით უნდა შეხვდენ ისინი მასების თვითკრიტიკას, რადგან მხოლოდ თვითკრიტიკით შეიძლება გამოაშკარავდეს ჩვენი მთავარი შეცდომები და ნაკლოვანებანი. ამრჩევლებს შორის აღმოფხვრილი უნდა იქნეს შეხედულება, რომ მათი საქმიანი კრიტიკა სათანადო ორგანიზაციების ყურადღების გარეშე დარჩება. მაგრამ აცილებული უნდა იქნეს ყოველგვარი დემაგოგია, ჭორი და ბოროტი განზრახვით ნაკარნახევი გალაშქრება ჩვენი მუშაობის წინააღმდეგ, რომელსაც აუცილებლად აწარმოებენ ანტი-საბჭოთა ელემენტები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი პირები. საანგარიშო კამპანია უნდა გახდეს მთელი ჩვენი საქმიანობის გენერალური გასინჯვათ, ჩვენი მუშაობის გენერალურ რევიზიათ. თუ ეს ჩვენ შევძელით, მაშინ საარჩევნო კამპანიის წარმატებაც უზრუნველყოფილია.

ყოველმა წარმოებამ, ყოველმა დაწესებულებამ და განსაკუთრებით ამ დაწესებულებათა ადგილკომებმა უნდა მიიღოს ზომები, რომ საარჩევნო კრებებზე გამოცხადდენ ამ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ყველა მუშა-მოსამსახურენი და აგრეთვე მათი ოჯახის წევრები, რომელთათვისაც მოწვეული იქნება ცალკე საარჩევნო კრებები. ამ ამოცანის განხორციელებლად საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს საარჩევნო უბნების ისე მოწყობას, რომ უბანში გამოცხადება ამრჩეველისათვის არ წარმოადგენდეს სიძნელეს. უნდა მოხდეს საარჩევნო უბნების, რაც შეიძლება მეტი დეცენტრალიზაცია. სასურველია, რომ დიდ წარმოებაში არჩევნები ჩატარდეს საამქროების მიხედვით.

უნდა ვეცადოთ, რომ არ გავიმეოროთ წარსული არჩევნების დროს დაშვებული შეცდომები. ერთი ასეთი შეცდომათაგანი იყო საარჩევნო სიების არასწორი შედგენა, საარჩევნო ინსტრუქციის ფორმალური, ზერელე გამოყენება. საარჩევნო ინსტრუქცია წინასწარ უნდა იქნეს შესწავლილი იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი შეცდომები. ერთი ჩვენი მთავარი შეცდომათაგანი იყო აგრეთვე ის, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციები სუსტ ხელმძღვანელობას უწევდენ საარჩევნო კამპანიას და ეს საქმე უმთავრესად დაკისრებული ჰქონდა ცალკე ამხანაგებს. ამ არჩევნებში პასუხისმგებლობა არჩევნების წარმატებისათვის უნდა დაეკისროს არა ცალკე ამხანაგებს, არამედ პარტორგანოების ხელმძღვანელობით ადგილობრივ ორგანიზაციებს. წარსული არჩევნების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო ქალთა მცირე პროცენტის არჩევა საბჭოთა ორგანოებში, იმ დროს, როცა ქალთა აქტივობა იზრდება ქალთა არჩევა საბჭოებში არ შეეფერება ქალთა ამ აქტივობის ზრდას. ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ნაკაზების შედგენა. წარსულში აქაც ჰქონდა შეცდომას ადგილი. ნაკაზი ამა თუ იმ წარმოების მუშების მიერ შემუშავებულ პრაქტიკული მუშაობის პროგრამას უნდა წარმოადგენდეს. წინად კი ნაკაზები წარმოადგენდენ რაღაც გახუნებულ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება არის სასურველი. ნაკაზი შეფარდებული უნდა იყოს რეალურ შესაძლებლობასთან და არას გზით არ უნდა შეიცავდეს მუხლებს, რომლის განხორციელების საშუალებას არსებული რესურსები არ იძლევა.

პროფკავშირების ამოცანები ამ საარჩევნო კამპანიაში ვრცლად და დაწვრილებით არის მოცემული სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს სადირექტივო წერილებში, ვიდრე პროფუჯრედები საარჩევნო სამზადისს შეუდგებოდენ, მათ ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ და გაარჩიონ ზემოხსენებული სადირექტივო წერილები.

როგორც ეს წერილები აღნიშნავენ, პროფუჯრედებმა ამთავითვე საარჩევნო კამპანიის გარშემო უნდა დარაზმონ მათ მიერ შეკავშირებული ყველა წევრები, რისთვისაც მათ წინასწარ უნდა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია: აუხსნან თავიანთ წევრებს ამ კამპანიის პოლიტიკური მნიშვნელობა. ყველა საშუალებანი, რომელიც პროფკავშირებს მოეპოვებათ გამოყენებული უნდა იქნეს არჩევნების მნიშვნელობის საპოპულიარიზაციოთ. კლუბები, სხვადასხვა კუთხეები, წრეები, კინო, რადიო ყველა უნდა ამოქმედდეს. პრესის უმთავრესი ყურადღება განსაკუთრებით კი კედლის გაზეთების საარჩევნო კამპანიის პერიოდში მიქცეული უნდა ჰქონდეს არჩევნების საკითხების გაშუქებას. არც ერთი მტკივნეული საკითხი, რომელიც საარჩევნო კამპანიასთანაა დაკავშირებული, კედლის გაზეთებს არ უნდა გამოეპაროს. პრესა (ბეჭდვითი და კედლისა) განსაკუთრებით ამ საარჩევნო პერიოდში უნდა გახდეს თვითკრიტიკის ფურცლებათ.

პროფუჯრედებმა უნდა მიიღონ ზომები საანგარიშო და საარჩევნო კრებების მოსაწვევათ ისეთ დროს, რომ ამ კრებაზე დასწრების საშუალება მიეცეს ყველა მუშა-მოსამსახურეს და მათ ოჯახის წევრებს და ამავე დროს არც წარმოების ინტერესები შეილახოს. არჩევნები უნდა დაინიშნოს მოხერხებულ დროს შესაფერ შენობაში, მომხსენებელი უნდა გამოცხადდეს თავის დროზე, რომ ხანგრძლივი ლოდინით ამრჩევლებს თავი არ მობეზრდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროფორგანოებმა კანდიდატების შერჩევას. დეპუტატად წამოყენებული უნდა იქნეს ისეთი ამხანაგები, რომელთაც მუშაობის უნარი შესწევთ და ერკვევიან ჩვენი მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებში, კრებებზე უნდა მოხდეს თვითეული კანდიდატის შეფასება, რომელი ორგანიზაციიდან, ან ჯგუფიდან არ უნდა იყოს წარმოდგენილი იგი.

დასასრულ, მომხსენებელი ჩერდება პროფკავშირების როლზე საბჭოთა არჩევნების ჩატარებაში სოფლად. კლასიური ბრძოლის გამწვავება, კულაკური და ნეპმანური ელემენტების ამოქმედება, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ამ არჩევნების წინ, კავშირებს ავალებს დაეხმარონ სოფლად მომქმედ ორგანიზაციებს ანტისაბჭოთა ელემენტებთან ბრძოლაში სოფლის საბჭოების არჩევის დროს. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი, რომელიც სოფლის მუშაკთა მთავარი გამაერთიანებელია, უნდა იქნეს არჩევნების მთავარი ხელმძღვანელთაგანი სოფლად, მაგრამ ამავე დროს ინდუსტრიალურ მუშათა კავშირები მოვალენი არიან უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო კამპანიას სოფლად. საამისოდ უკვე გადადგმულია ნაბიჯები.

საქართველოს ცაკი პროვინციაში გზავნის 30 მუშას, საქართველოს პროფსაბჭო—20, საწევრო ორგანიზაციები—40 მუშას გარდა ამისა საქართველოში თავის წარმომადგენელ მუშებს გზავნიან ბაქოს და ერევნის საბჭოები. საქართველოც თავის მხრივ აზერბეიჯანსა და სომხეთში გზავნის თავის წარმომადგენელს მუშებს. ეს უკანასკნელი ღონისძიება ნაკარნახევია იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი რესპუბლიკების წარმომადგენელი-მუშები გაეცნონ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, შეისწავლონ იგი და შემდეგ ერთიმეორეს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება.

მოხსენების დასასრულს ამხ. ვარძიელმა პასუხი გასცა რამოდენიმე შეკითხვაზე.

მოხსენება მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ.

სას.-სამეურნეო კოოპერაციის მონაწილეობა არჩევნებში

„სოფლის კავშირი“-ს, სახ. სამ. ბანკის და კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობებმა ინსტრუქტორებსა და ინსპექტორებს დაუგზავნეს ცირკულიარული წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ სას. სამ. კოოპერაცია ყველაზე ახლო დგას სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობასთან და მას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს გლეხების ამ ფენებისთვის ს. მეურნეო სამსახურის გაწევის საქმეში. გარდა ამისა სას. სამ. კოოპერაციას მოეპოვება საკმაო ორგანიზაციული საშუალებები და შესაძლებლობანი სოფლის მოსახლეობის ამ ელემენტების პოლიტიკურ აქტივობის ასამაღლებლად და საბჭოთა არჩევნებში ამ აქტივობის უკეთ გამოსაყენებლად. ამიტომ სას. სამ. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ერთის მხრით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ საარჩევნო კომისიებში, უნდა მიაწოდოს მას ყოველგვარი მასალა ხოლო მეორე მხრივ სას. სამ. კოოპერაციამ თავის წევრთა შორის უნდა ჩაატაროს დიდი წინასწარი სააგიტაციო მუშაობა: დარაზმოს ისინი კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიაში მთელი ასი პროცენტით ჩააბან ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები, რომლებიც შეკავშირებული არიან სას. სამ. კოოპერაციაში.

ამ მიზნით კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა კავშირი უნდა დაიჭირონ საარჩევნო კომისიებთან; გამგეობების და კოოპერატიული აქტივის გაფართოებულ სხდომებზე უნდა შეიმუშაონ არჩევნებში მონაწილეობის გეგმა, შეუთანხმონ ეს გეგმა საარჩევნო კომისიას და შეუდგნენ მის განხორციელებას; კოოპ. ორგანიზაციის ტექნიკური აპარატი გამოყენებული უნდა იქნეს საარჩევნო კომისიის ტექნიკური დავალებათა შესასრულებლად; აგიტაციის მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს რაიონის ყველა კედლის გაზეთები; ღარიბთა კრებებზე და არჩევნებთან დაკავშირებულ თათბირებზე გაკეთებული უნდა იქნეს საქმიანი მოხსენებები კოოპ. ორგანიზაციათა მიღწევების, ნაკლის და მომავალი მუშაობის გეგმების შესახებ; მოხსენებებისათვის საჭირო მასალები უნდა გადაეცეს თემსაბკომებს; წინასწარ უნდა იქნას შემოწმებული თუ რამდენად შესრულდა საბჭოს წინანდელმა შემადგენლობამ მისთვის მიცემული დავალება სას. სამ. კოოპერაციის და კოლმეურნეობის შესახებ. კოლმეურნეობათა შენობები გამოყენებული უნდა იქნეს საანგარიშო და საარჩევნო კრებების მოსაწყობად. თვალსაჩინო ადგილზე უნდა იქნეს გამოკრული პლაკატები და ლოზუნგები. ყურადღება უნდა მიექცეს გაზ. „ჩვენი კოოპერაცია“-ს სპეციალური ნომრების გავრცელებას.

სამომხმარებლო კოოპერაცია და არჩევნები

სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც სოფლად აკავშირებს მშრომელ გლეხობის 40 პროცენტს, დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია საბჭოთა არჩევნების წარმატებით ჩატარების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერაციის მონაწილეობა წარსულ არჩევნებში მკრთალი იყო. სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ ცენტრ-კავშირის მიერ ამ თავითვე მიღებულია ზომები იმისათვის, რომ აცილებული იქნეს წარსული წლების შეცდომები და მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში ჩაბმულ იქნას კოოპერაციაში გაერთიანებული მშრომელთა მასა. ამ მუშაობის ჩასატარებლად შემუშავებულია დაწვრილებითი გეგმა და ვრცელი ინსტრუქცია მომხმარებელ კოოპერატივების მონაწილეობის შესახებ არჩევნებისათვის მოსამზადებელ კამპანიაში და თვით არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

გეგმის მიხედვით კოოპერატივებმა ხელი უნდა შეუწყონ მუშათა კლასის ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეების და მათი მოკავშირის—საშუალო გლეხობის პოლიტიკურ აქტივობას და ამ უკანასკნელთა დარაზმვას კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ. კოოპერატივებმა თავის წევრთა შორის უნდა აწარმოონ აგიტაციო-პროპაგანდა საბჭოთა მეურნეობის მიღწევების და მომავალ ამოცანების შესახებ საერთოდ და კერძოდ კოოპერაციის მიღწევების, ნაკლის და მომავალ ამოცანების შესახებ.

კოოპერატიულ ორგანიზაციებმა ინსტრუქციის მიხედვით, ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში მონაწილეობის მიღების მიზნით უნდა გამოჰყონ წარმომადგენლები. კოოპერატივის აქტივმა და მისმა მმართველმა ორგანოებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თავისი გამოსვლებით საანგარიშო კრებებზე და საღ კრიტიკით შეაფასონ თემსაბჭოს ხელმძღვანელობა ადგილობრივ კოოპერატივებზე.

კონკრეტულად კოოპერატივებს ევალებათ: დაეხმარონ კოოპერატივის მთელი ტექნიკური აპარატი ადგილობრივ საარჩევნო კომისიას უბნების დარიგებაში, სიების შედგენაში და სხვ., ყველა კედლის გაზეთები და კოოპერატიული კუთხეები გამოყენებულ უნდა იქნას ფართოთ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების გასაშუქებლად. კოოპერატივების კულტ მუშაკებმა ფართოდ უნდა ჩაატარონ საუბრები ღარიბ და საშუალო გლეხებში პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკის, კოოპერაციის მიღწევების მომავალი ამოცანების და სხ. შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფებს. წინასწარ მოწყობილ უნდა იქნას ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეთა კრებები. კინო-სეანსები ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული. კინოს დაწყებამდე უნდა ჩატარდეს საუბრები საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობაზე. ამავე მიზნით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული გონებრივი გასართობები, წარმოდგენები, ინსცენირებები და სხვა იქ, სადაც კი ამის მოწყობა შესაძლებელი იქნება.

თვით ცეკავშირი სპეციალურად საბჭოთა არჩევნებისათვის სცემს ბროშურას სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევების შესახებ, თერთმეტ დასურათებულ ლოზუნგს, პლაკატს „აირჩიეთ საბჭოებში მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველნი“ და სხვ.

გარდა ამისა არჩევნებისათვის გადიდებულ ტირაჟით გამოცემულ იქნება გაზეთი „ჩვენი კოოპერაცია“.

როგორც ბროშურა, ისე გაზეთიც, კოოპერატივის წევრებს დაურიგდებათ უფასოდ.

ვფიქრობთ, რომ წინასწარ ასეთ ზომების მიღება და კოოპერაციის წევრთა შორის სათანადო მუშაობის ჩატარება, ხელს შეუწყობს კოოპერაციაში შეკავშირებულ მასას მთელი ასი პროცენტით არჩევნებში მონაწილეობას და თვით არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

მ —ა.

სამზადისი ადგილებზე

ქუთაისის მაზრაში

საბჭოების გადარჩევის სამზადისი ქუთაისსა და მის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. სამაზრო აღმასკომმა უკვე ჩამოაყალიბა ქალაქის და მაზრის საარჩევნო კომისიები. სამზადისი მუშაობა დაიწყო 15 ნოემბრიდან და გაგრძელდება 1 იანვრამდე. საანგარიშო მოხსენებები ჩატარდება, 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე, ხოლო გადარჩევები კი 1 თებერვლიდან 1 მარტამდე. სამაზრო ყრილობა შესდგება მარტის 1-ლ რიცხვებში.

დამუშავებულია დაწვრილებითი ინსტრუქცია. ამომრჩევლების სიების შესადგენად, დამთავრებულია მაზრის წარმოება-დაწესებულებების და ღარიბთა ჯგუფების გამოკვლევა საარჩევნო კამპანიისათვის.

საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელთა კადრის შესაქმნელად სამაზრო აღმასკომი უახლოეს ხანში აწყობს მოკლევადიან გადასამზადებელ კურსებს.

გრ. სვანიძე.

თბ. მუშკოოპის აქტივის საქალაქო კონფერენცია

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის მუშკოოპის აქტივის (რწმუნებულების, კოოპერატიული და სადუქნო კომისიების) საქალაქო კონფერენცია.

დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: 1) თბილისის ხორცის ბაზრის მდგომარეობა და დახარისხებული ხორცით ვაჭრობა და 2) კოოპერატივის წევრთა მონაწილეობა საბჭოების არჩევნების კამპანიაში.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილების გამგე ამხ. გ. ლასკარი.

მომხსენებელმა დაახასიათა თბილისის ხორცის ბაზრის მდგომარეობა და განაცხადა რომ კოოპერაციამ ხორცით ვაჭრობას ეს უკანასკნელი ორი წელია რაც მოჰკიდა ხელი. კოოპერაციას ხორცის ბაზრის დაპყრობისათვის დიდი ბრძოლა უხდება კერძო ვაჭრებთან და მრავალი დაბრკოლებები ეღობება წინ.

მომწესრიგებელ ორგანოების მიერ კოოპერაციის მიცემული ჰქონდა დირექტივა დაეპყრო ბაზრის 75 პროცენტი, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო. ეს გამოწვეულია მრავალი მიზეზებით და კერძოთ იმით, რომ ხორცის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს დასახული გეგმის შესრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ შეთანხმებული არ არის ხორცის დამამზადებელ და გამსაღებელ ორგანიზაციების მუშაობა.

რაც შეეხება მუშკოოპს, იგი ამ უკანასკნელ ხანებში თანდათან აფართოებს ხორცით ვაჭრობას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო დახარისხებული ხორცით ვაჭრობას და სთქვა, რომ ხორცით ვაჭრობის დღევანდელი სისტემა არ არის დამაკმაყოფილებელი და ამით არის გამოწვეული დახარისხებული ხორცით ვაჭრობის შემოღება. ეს საკითხი ჯერ-ჯერობით შესწავლის სტადიაშია და ახლო ხანში ყველა კოოპერატიული სავაჭროები გადავლენ ხორცით ვაჭრობის ახალ სისტემაზე.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია რომელშიაც ნათქვამია: გაძლიერებულ იქნეს ხორცის დამამზადებელ და მომხმარებელ ორგანიზაციების მუშაობა. რათა გატარდეს დირექტივა ხორცის ბაზრის 75 პროცენტით დაპყრობის შესახებ, კოოპერატიულ სავაჭროებში შემოღებულ იქნეს დახარისხებული ხორცით ვაჭრობა, რისთვისაც გაფართოვდეს ხორცის სავაჭროები, გაძლიერდეს კონტროლი ხორცით მოვაჭრეებზე და სხვა.

კოოპერატივის წევრთა მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში მოხსენებით გამოვიდა მუშკოოპის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. ა. ხუხუნაიშვილი.

მან აღნიშნა, რომ დღეს კოოპერაციას ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ კოოპერატივის წევრებმა საბჭოების არჩევნების კამპანიაში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ:

მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში და გაეცნო მათ შემუშავებული ნაკაზი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ კოოპერატიულმა აქტივმა საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარების დროს.

დაქირავებული შრომა გლეხების მეურნეობაში

სახკომსაბჭოს დადგენილებით დროებითი წესები გლეხის მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ არ გავრცელდება შემდეგ მეურნეობაზე: ა) რომელიც ერთსა და იმავე დროს გამოიყენებს არა ნაკლებ სამი ამბოკარის (სოფლის მუშა) ან ამბოკარ-ქალის შრომას მთლად სას.-სამეურნეო სეზონის განმავლობაში, ბ) მეურნეობაზე, რომლის ოჯახის წევრებიც იხდიან სარეწავ გადასახადს სამრეწველო საწარმოს ბრუნვის პროცენტული შეფარდებით, ან რომელნიც ეწევიან ვაჭრობას ან სავაჭრო შუამავლობას, თუნდაც ისინი სარეწავ გადასახადს არ იხდიდენ, გ) მეურნეობა, რომლის შემოსავალიც, რაც გამონაგარიშებული იქნება სას.-სამეურნეო გადასახადის შესაწერით, აღემატება 500 მან. წელ-წადში დაქირავებული მუშა-ხელის რაოდენობის მიუხედავათ, დ) მეურნეობაზე, რომელშიაც დამქირავებელი პირადი შრომით მონაწილეობას არ მიიღებს, გარდა იმ მეურნეობათა, სადაც განსაკუთრებული მიზეზების გამო (სამხედრო სამსახური, ინვალიდობა, ქვრივობლობა და სხვ.) ოჯახის შრომის უნარიანი წევრი არ არის, ე) საადგილ-მამულო საზოგადოების ან მისი ნაწილის მეურნეობაზე, რომელიც დაიქირავებს საერთო მწყემსს, ვ) მეურნეობაზე, რომელსაც აქვს რთული სას.-სამეურნეო მანქანები (ტრაქტორი, სალეწი), ან რომელიც სისტემატიურად გააქირავებს ხოლმე რთულ სას.-სამეურნეო მანქანებს ან დას. სამ. სულიერ ინვენტარს, ზ) კოლექტიურ მეურნეობაზე და თ) მეწარმე- მოიჯარადრე მეურნეობაზე.

პარტიაში

ანტირელიგიური მუშაობა უნდა გაძლიერდეს

ჩვენი პრესის ფურცლებზე და სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი იწერებოდა იმის შესახებ, რომ უკანასკნელ დროს გაცხოველდა რელიგიურ ორგანიზაციების და სექტანტთა თემების მუშაობა. ისინი ცდილობენ გადავიდენ შეტევაზე და ფართო რელიგიური აგიტაციის საშუალებით და „მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების გამოყენებით“ შეიტანონ მშრომელ მასებში რეაქციონური რელიგიური იდეოლოგია. ამ გაცხოველების პროცესს, სამღვდელოებისა და სექტანტების რეაქციულ ტენდენციებს უნდა დავუპირდაპიროთ ძლიერი სისტემატიური ანტირელიგიური მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქისა და სოფლის ჩამორჩენილი მასების გათავისუფლებას რელიგიური შხამისაგან.

ჩვენში საქართველოს სინამდვილეში, ანტირელიგიურ მუშაობას განსაკუთრებით ართულებს მრავალი რელიგიის: მართლმადიდებელთა, მუსლიმანურ, ებრაულ, კათოლიკურ, ლიუტერანულ, სომხურ-გრიგორიანულ და სხვ. არსებობა.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი თურქთა შორის მუშაობის შესახებ. მათში ყველაზე მეტია რელიგიის გავლენა. მუსლიმანური სამღვდელოება ეწევა აქტიურ მუშაობას, რაც გამოიხატება საგრძნობ ბრძოლაში საბჭოთა სკოლების წინააღმდეგ და რელიგიურ სკოლების გასაძლიერებლად. სამღვდელოების ახალი კადრების მომზადებაში და სხვ. საგრძნობია რელიგიის გავლენა ქართველ ებრაელთა შორის, აგრეთვე სექტანტების, ბაპტისტების, ევანგელისტ-ქრისტიანების, მიურიტების და სხვ. გავლენა.

აღსანიშნავია, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა ჩვენში სუსტადაა დაყენებული. მას მნიშვნელობას ჯერ კიდევ ვერ აფასებენ ჯეროვანად ჩვენი ქვედა საფეხურის პარტიული, პროფესიონალური და სხვ. ორგანიზაციები.

უკვე საკმაოდ ბლომადაა გაცემული დირექტივები პარტიული და პროფესიონალური ხაზით ანტირელიგიური მუშაობისათვის ყურადღების გაძლიერების შესახებ. ეხლა საჭიროა მხოლოდ გადაჭრით შევუდგეთ ამ მუშაობას, ავამოძრავოთ მის გარშემო ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება და მედგარი წინააღმდეგობა გავუწიოთ ანტიპროლეტარულ იდეოლოგიის მასებში შეპარვის ყოველგვარ ტენდენციებს.

ცოტაოდენი მუშაობა ანტირელიგიურ ფრონტზე ჩვენში უკვე შესრულებულია და კიდევაც მივაღწიეთ ერთგვარ წარმატებას ამას მოწმობს მრავალი ფაქტი.

წელს პირველად და წარმატებით ჩატარდა მთელ საქართველოში ანტირელიგიური კამპანია მუსლიმანური დღესასწაულის „შახსეი-ვახსეი“-ს წინააღმდეგ. ამ კამპანიამ ფრიად დადებითი შედეგები მოგვცა.

გაცილებით უკეთესად, ვიდრე წარსულში, ჩატარდა აგრეთვე კამპანია „შობის“ და „აღდგომის“ წინააღმდეგ. გვიქვს აგრეთვე ისეთი მიღწევაც, როგორიცაა „ულმერთოთა კავშირი“-ს და ანტირელიგიურ წრეების არსებობა. თბილისში (ცოტა ხნის წინად) საბოლოოდ ჩამოყალიბდა ულმერთოთა კავშირი, რომელშიაც ირიცხება 109 უჯრედი 5.500-ზე მეტი წევრით. მოქმედობს 20 ანტირელიგიური წრე, ჩატარდა მრავალი დისპუტი. თბილისში ჩატარდა ქალაქის პედაგოგების საერთო კრება „ანტირელიგიური აღზრდის“ საკითხის განსახილველად. თავის რეზოლუციაში კრებამ კატეგორიულად მოითხოვა „არა რელიგიის გარეშე, არამედ მეთოდიური ანტირელიგიური აღზრდა“. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ „სკოლა უნდა გადაიქცეს ანტირელიგიური აღზრდის ბუდიდ, რომ სკოლაში მეთოდიურად უნდა ტარდებოდეს ახალ გაზრდობის ფსიქიკის დიალექტიურ-მატერიალური დამუშავება“.

მაგრამ, ეს სრულიად არ არის საკმარისი, საჭიროა ფართოდ გავშალოთ გაღრმავებული, სისტემატიური ანტირელიგიური მასიური მუშაობა.

ისეთი მასიური ანტირელიგიური აგიტაციის და პროპაგანდის მოწესრიგება, რომელიც შესაფერისი იქნება დღევანდელი პირობებისათვის, წარსულის დეფექტების აღმოფხვრა ანტირელიგიურ ფრონტზე, შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისეთ ნებაყოფლობით საზოგადოებას, როგორიცაა „ულმერთოთა კავშირი“, განვამტკიცებთ და გადავაქცევთ მასიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციად.

თბილისის „ულმერთოთა კავშირმა“ უკვე დაისახა მთელი რიგი კონკრეტიული ამოცანები. იგი შეუდგა თავისი უჯრედების გაფართოებას და განმტკიცებას წარმოებებში, კლუბებში, ის ხელს უწყობს ანტირელიგიურ მუშაკთა ფართო აქტივის გამოყოფას და მომზადებას, ანტირელიგიურ მუშაობის გაცხოველებას მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში; იგი მიზნად ისახავს ანტირელიგიურ აღზრდის დაყენებას სასწავლებლებში და ანტირელიგიურ მუშაობის წარმოებას მშობლებთან. მუშაობის გაცხოველებას მუშათა ახალგაზრდობის და ქალთა შორის და სხვ.

საჭიროა გამოვიყენოთ ყოველივე შესაძლებლობა იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ულმერთოთა კავშირს, განვამტკიცოთ ის და უზრუნველვყოთ პარტიის, კომკავშირის და პროფესიონალურ ორგანიზაციების მონაწილეობა მის მუშაობაში. პირველ რიგში საჭიროა მივაღწიოთ საბოლოო გარდატეხას ანტირელიგიურ პროპაგანდის შეტანის მხრივ ყოველდღიურ საერთო პარტიულ მუშაობაში, (ს.კ.პ.(ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების რეზოლუციიდან). აღსანიშნავია, რომ თვით მუშური მასა ამ დარგში საკმაო ინტერესსა და ინიციატივას იჩენს ამჟამად „ჩვენ ვდგევართ ანტირელიგიურ მუშაობის ახალი აღორძინების წინაშე. ანტირელიგიური მუშაობა უნდა გადაიქცეს ყოველდღიურ და მასიურ მუშაობად“.

ა—ი.

მორიგი შემოწმების შედეგები

(წერილი კახეთიდან)

სათემო კონფერენციის მომზადების და ჩატარების დროს, ნათელი გახდა პარტიული მასის აქტივობის არაჩვეულებრივი ზრდა; ახალი და განსაკუთრებული თვისება, რომელიც ახასიათებდა თემის პარტკონფერენციებს, იყო საქმიანი თვითკრიტიკა. ჩანს საკავშირო კომპარტიის ცეკას მოწოდებას უქმად არ ჩაუვლია და მისი შინაარსი საკმაოდ შეუთვისებია პარტიულ მასას.

თემკომების ანგარიშების გარშემო კამათში გამოსულ ამხანაგებმა გამოააშკარავეს მთელი რიგი დეფექტები, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს პარტმუშაობის და ხელმძღვანელობის დარგში.

პარტიულ მასას საკმაოდ არა აქვს შესწავლილი მე-15 ყრილობის დადგენილებანი სოფლად მუშაობის დარგში. უჯრედები და თემკომები საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ კოლექტივების ორგანიზაციას. რაც მთავარია, კომუნისტები სუსტად მონაწილეობენ კოლექტივებში. მაგალითად, ახმეტის თემში არსებულ 3 კოლექტივში არც ერთი კომუნისტი არ არის, ადგილობრივ პარტორგანიზაციას და საბჭოს ერთხელაც არ მოუსმენია აღნიშნული კოლექტივების მოხსენება და არც გამოუკვლევია მათი საქმიანობა..

გარდა ამისა, უჯრედებში ნაკლებად იხილება სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორიცაა: თემის ბიუჯეტი, თვითდაბეგვრის მოწესრიგება, კრედიტების განაწილება, იარაღ-მანქანების მიწოდება; თესვის კამპანია და სხვა; ბევრ ადგილას უჯრედების მონაწილეობის გარეშე ტარდება. გამოირკვა აგრეთვე, რომ მოჯამაგირეთა პარტიაში მიღების საკითხი უნუგეშო მდგომარეობაშია. მაშინ, როდესაც მოჯამაგირეთა რიცხვი მაზრაში 3000 კაცს აღწევს, პარტიაში მხოლოდ 56 მოჯამაგირე ირიცხება. ასეთივე მდგომარეობაა ქალების მიღების დარგშიაც. რაც შეეხება მშრომელ ქალთა წამოყენება-დაწინაურებას, ეს საკითხი თითქმის სულ მივიწყებულია თემკომების და უჯრედების მიერ.

აღინიშნა აგრეთვე უჯრედების არა საკმაო მონაწილეობა პურის დამზადების კამპანიაში, რომელსაც სერიოზული ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

კონფერენციებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს კუთხური „პატრიოტიზმის“ და კინკლაობის აღმოფხვრას, რომელიც საგრძნობლად აფერხებდა პარტიული ხელმძღვანელობის საქმეს. მაგალითად, ს. შიშიანის კომუჯრედი მთელი წლის განმავლობაში მოუნდა უჯრედის წევრთა შორის არსებულ კინკლაობა-ინტრიგის მოსპობას, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები კი, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოწესრიგება; კოლექტივებზე ხელმძღვანელობა და სხ. მისი ყურადღების გარეშე დარჩა.

კონფერენციებმა აღნიშნეს მიღწევებიც თემკომების მუშაობაში. ამ მიღწევათა შორის უმთავრესია: მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირების გაძლიერება (მაზრის მოსახლეობის 72 პროცენტი ჩაბმულია სამომხმარებლო კოოპერაციაში და 36 პროც. საკრედიტო ამხანაგობებში); ღარიბთა ორგანიზაციული დარაზმვა და მათთვის ნივთიერი დახმარების გაძლიერება, მტკიცე კავშირის დამყარება საშუალო გლეხობასთან და კულაკური გავლენის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის უზრუნველყოფა, სავალდებულო სესხის საკმარისად გასაღება, თვითკრიტიკის გაშლისათვის ხელის შეწყობა და სხვა.

კონფერენციებმა შეიმუშავეს საჭირო ღონისძიებანი აღმოჩენილ დეფექტების გამოსასწორებლად.

ა. პ—ი.

ლენრაიონის მე-11 პარტკონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნა ლენინის რაიონის მე-11 პარტკონფერენცია.

კონფერენცია გახსნა რაიკომის პ.-მ. მდივანმა ამხ. ფანცულაიამ.

კონფერენციის ორგანოების არჩევის შემდეგ. ერთხმად არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. სტალინი რიკოვი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, ვოროშილოვი; ბუხარინი, ორახელაშვილი, ცხაკაია, მახარაძე ნაზარეტიანი, კუიბიშევი, ტომსკი, რუძუტაკი; კახიანი; ქართველიშვილი და ელიავა.

ამის შემდეგ დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი: 1) საქ. კ. პ. (ბ) მორიგი ამოცანები; 2) რაიკომის საანგარიშო მოხსენება—ა. ლ. კ. კ. რაიკომის თანამოხსენებით და სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) ა.-კ. რკინის გზის მეურნეობის მდგომარეობა და 4) არჩევნები.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ საქ. კომუნისტური პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ კონფერენციამ მოისმინა

ამხ. მ. კახიანის მოხსენება

— ძირითადი საკითხი, რომელიც დღეს სდგას საქ. კომპარტიისა და ხელისუფლების წინაშე, ეს არის სასოფლო მეურნეობის განვითარება. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ვივიწყებთ მეურნეობის მთავარ და ძირითად ფრონტს—მრეწველობას. პირიქით, ჩვენი ამოცანაა მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარება და გაძლიერება. მაგრამ ამავე დროს სათანადო ყურადღება უნდა ექცეოდეს სოფლის მეურნეობის წარმატებასაც.

— მე-15 პარტყრილობის შემდეგ სოფლად გაიზარდა კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი ტეხნიკის მიწის დამუშავების კულტურულ მეთოდების საშუალებით, მანქანების, ტრაქტორების და სხვა სასოფლო - სამეურნეო იარაღების საშუალებით.

კულტურულ და საბჭოთა მეურნეობის ზრდამ სოფლად გამოიწვია კულაკების გამოლაშქრება საბჭოთა მეურნეობების წინააღმდეგ, თუ წინად ეს შემოტევა შეუმჩნეველი იყო, დღეს მან მწვავე ხასიათი მიიღო. კულაკები აქტიურ შემოტევაზე გადმოდიან.

გორის მაზრის ერთ-ერთ სოფელში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: მიმდინარეობდა კომკავშირის სხდომა. კულაკებმა ამის პარალელურად თავისებური კრება გამართეს. მართალია მათ კრებას არავითარი პრაქტიკული ხასიათი არ ჰქონია, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი პარტმუშაკები სოფლად კულაკის გავლენის ქვეშ ექცევიან, აძლევენ მათ მოწმობებს და შუამდგომლობას სხვადასხვა შეღავათების მისაღებად.

ასეთი გადახრების წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნეს ენერგიული ზომები.

ჩვენი მრეწველობა ჩქარი ტემპით იზრდება. ერთ-ერთ მორიგ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის გადიდება. მიმდინარე წლის პერსპექტივებია: სხვადასხვა საწარმოთა ხელახლა მოწყობა, ახალი საწარმოების ამუშავება. შავი-ქვის ამოღების განვითარება და სხვა. მიმდინარე წლისათვის პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 40.2 პროცენტით. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ამას ჩვენ მივაღწევთ, თუ მტკიცედ, ენერგიულად იმუშავებს მთელი ჩვენი პარტია.

საწარმოო ერთეულების ზრდა იწვევს მუშათა რიცხვის ზრდას. თუ ჩვენში გასულ სამეურნეო 1927-28 წელში გვყავდა 15 ათასი მუშა, მომავალ წელს ეს რიცხვი 19 ათასამდე გაიზრდება.

მომხსენებელი კონფერენციის ყურადღებას აპყრობს პარტიის ზრდის საკითხებზე და აღნიშნავს, ამ დარგში მთელ რიგ მიღწევებს (პარტიის ზრდა დაზგის მუშების ხარჯზე და სხვა).

— ჩვენი პარტია,—ამბობს დასასრულ მომხსენებელი,—მუდამ იყო და იქნება მთლიანი, მონოლიტური; ყოველგვარ გადახრებს, ლენინურ ხაზიდან აცდენის ცდებს პარტია საკადრის პასუხს გასცემს.

ამხ. მ. კახიანის მოხსენების შემდეგ დელეგატებს აჩვენეს საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „ჯანყი გურიაში“.

ღონისძიებები საბინაო საკითხის მოსაწესრიგებლად

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საბინაო მეურნეობის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში. და საბინაო საკითხის მოსაგვარებლად შემუშავებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები. რესპუბლიკანურ ხელისუფლებას დაევალა გამოსცეს სპეციალური საბინაო კოდექსი და თვალყური ადევნონ, რომ იმ ქალაქების ბიუჯეტში, სადაც საბინაო ფონდის სიმცირე უფრო საგრძნობია, გათვალისწინებული იქნას თანხები საბინაო მშენებლობისთვის და ამ თანხების ჯამი გადიდებული იქნეს ყოველწლიურად.

რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცათ მოაწესრიგონ ქალაქების და ქალაქის გარეუბნების დაგეგმვის საქმე; შექმნან სპეციალური კაპიტალი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს კომუნალურ კეთილმოწყობის მიზნებისათვის; მიიღონ ზომები საბინაო მშენებლობის კონცენტრაციისათვის; მოაწესრიგონ მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა; საბინაო ფონდის გაძლიერების მიზნით მიიღონ ზომები, რომ სახლებზე მოშენებული იქნეს ზემო სართულები და მაქსიმალურად გამოიყენონ ქალაქის გარე-უბნები; ამასთანავე მიღებულ უნდა იქნეს ზომები ქალაქის გარეუბნებში მოსვლის გასაადვილებლად, რა მიზნითაც გარეუბნებში გაყვანილი უნდა იქნეს ტრამვაი.

საბინაო კოოპერატივებს უნდა დაევალოს, ბინები მიაქირაონ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც ესაჭიროებათ ასეთები, აღნიშნულ კოოპერატივის წევრათ კი არ ირიცხებიან; ქალაქის ფარგლებში მშრომელ ელემენტებს უნდა მიეცეს ბინების გადაცვლის უფლება. ხოლო თუ მუშა-მოსამსახურე ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში იქნა გადაყვანილი. ასეთ პირებს ნება უნდა მიეცეს ბინები გაცვალონ ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში.

ბინების გამონახვის და გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლად საჭიროდ არის ცნობილი, რომ ქალაქებში მოეწყოს საბინაო საშუამავლო ბიუროები.

მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაციაქმნილ სახლებში აკრძალულია ბინების მიქირავება არამშრომელ ელემენტებისათვის და იმ არა მშრომელ ელემენტებს, რომლების შემოსავალი აღემატება 3.000 მანეთს, 1929 წლის 1 ოქტომბრიდან აკრძალული ექნებათ ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურა

პერევისის მაღაროებში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

პერევისის მაღაროებისაკენ ჭიათურიდან ორი გზა მიდის: ერთი საურმე, მეორე საცალფეხო. საურმე გზა შორს უვლის, საცალფეხო გზით კი პერევისამდის მისვლას უნდა მხოლოდ ნახევარი საათი.

ჭიათურის აღმასკომს კარგა მანძილზე გაუყვანია ელექტრო ხაზი და საურმე გზაზე შეიძლება სიარული უვნებლად ღამითაც.

როდესაც უახლოვდები პერევისის მაღაროებს, ამჩნევ, რომ აქ გაჩაღებულია დიდი მუშაობა.

დაწყებული დილის 7 საათიდან კარგა დაბინდებამდე მაღაროებიდან ეზიდებიან შავი ქვის მადანს და ჰყრიან ერთ გარკვეულ ადგილას.

პერევისაში მუშაობს 8 მაღარო. მაღაროებში და შავი ქვის გამოზიდვაზე დაბანდებულია 781 კაცი.

მაღაროსთან № 7 დადგმულია ე. წ. კომპრესორი, რომელიც იძლევა შეკუმშულ ჰაერს, შეკუმშული ჰაერი მილის საშვალებით მიდის № 7 მაღაროში, სადაც სწარმოებს ცდები მადანის მექანიკურად მოსაჭრელად.

ამ მაღაროში არ არის საჭირო მადანის მოჭრა წერაქვით. შეკუმშულ ჰაერს მოძრაობაში მოჰყავს ჩაქუჩი, რომელიც მექანიკურად სჭრის მადანს.

ამბობენ, რომ კომპრესორი აადვილებს მუშაობას 50%-ით. იმ შემთხვევაში, თუ ეს ცდები დაგვირგვინდა სასურველად, მაშინ ტრესტი შეიძენს კიდევ რამოდენიმე კომპრესორს.

დანარჩენ მაღაროებში მადანის მოჭრა სწარმოებს წერაქვით. თითო მგრეველი წერაქვით 7 საათის განმავლობაში იღებს დაახლოვებით 5 ტონა მადანს (300 ფუთამდე).

ბენზინმავალი

მადანი მაღაროებიდან გამოაქვთ ვაგონეტკებით. თითო ვაგონეტკაში ჩადის დაახლოვებით 1 ტონა მადანი. ვაგონეტკებს იმ ადგილამდი, სადაც გროვდება მადანი, ეზიდებიან ცხენებით და ე. წ. ბენზინმავლებით. ეს უკანასკნელები წააგავენ რკინის გზის დრეზინებს და თითო ეწევა 40-დან—60-მდე ვაგონეტკას, მაშინ, როდესაც ცხენს შეუძლიან ზიდოს დიდის გაჭირვებით 10-მდე ვაგონეტკა.

შავი ქვის ტრესტს განზრახული აქვს ასეთი საზიდავის შეძენა დიდი რაოდენობით, რაც უეჭველია გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას და გააადვილებს მადნის ზიდვას.

თითქმის ყველა მაღაროში გაყვანილია ელექტრონის სინათლე, რაც დიდათ უადვილებს მუშაობას მათ, ვისაც უხდება მადანის მოჭრა და ვაგონეტკების დატვირთვა.

მაღაროებიც საიმედოთ არიან გამაგრებულნი მუხის ხეებით; ამით აცილებულია თავიდან მაღაროს ჩამონგრევა.

მაღაროში მუშაობას აადვილებს ის გარემოება, რომ შიგ არ არის წყალი. მნგრეველი და მენიჩბე მუშაობენ მშრალ ნიადაგზე, ეს კი დიდი შეღავათია მათთვის.

მაღაროებიდან გამოტანილი მადანი გროვდება ერთ ადგილას. შემდევ წყლის საშვალებით მადანი ღარებით მიდის ქარხნისაკენ. გზაში გაკეთებულია ბადე. აქ სდგანან მუშები თოხებით ხელში და ფშხვნიან მადანს.

ამ მუშებს მუშაობა უხდებათ ცის ქვეშ როგორც კარგ, ისე ცუდ ამინდში. მათ ეძლევათ გამძლე ფეხსაცმელები და საწვიმარები. მათი სამუშაო დღე უდრის 8 საათს.

მუშაობა პერევისის მაღაროებში დღითი დღე იზრდება და ფართოვდება. აქაური მუშები არიან დაინტერესებულნი წარმოების აყვავებაში და სცდილობენ, რომ პერევისა არ ჩამორჩეს სხვა ადგილებს.

ოქტომბერში პერევისის მაღაროებიდან ამოღებული იყო 11.791 ტონა მადანი, ნოემბეროში ამოღებული მადნის რაოდენობამ მიაღწია 19.450,26 ტონას, ამ რიგად ერთი თვის განმავლობაში ამოღებული მადანის რაოდენობა გაიზარდა 7.659,26 ტონით.

შემდეგში, უეჭველია, პერევისის მუშების დახმარებით, შრომის ნაყოფიერება უფრო გაიზრდება. ამუშავდება აგრეთვე სხვა მაღაროებიც და პერევისა დაიჭერს საპატიო ადგილს ჭიათურის წარმოებაში.

მუშათა ახალი სახლი პერევისაში


მუშათა სახლი, სასადილო და კლუბი პერევისაში

⁂

პერევისის მუშებისათვის აგებულია ორი სახლი. ერთ სახლში ამჟამად მიმდინარეობს რემონტი, მეორე სახლი დათმობილი აქვს მუშათა საერთო საცხოვრებელს. ამ სახლში სცხოვრობს 160 მუშა, ჩამოსული სამუშაოდ შორი სოფლებიდან. პატარა ზომის ოთახებში მოთავსებულია 4—5 მუშა, დიდ ოთახებში—9—10 მუშა.

საცხოვრებელი ბინები სუფთად არის შენახული. მაღარკომი და სანიტარული კომისია იღებენ ყოველგვარ ზომებს, რომ ბინებში დაცული იქნეს სისუფთავე, სწარმოებს საუბრები და ლექციები ჰიგიენა-სანიტარიიდან. სანიტარული კომისია ახდენს ხშირად შენობის რევიზიას.

კარგი იქნება, რომ როგორც მაღარკომი, ისე თვით ტრესტი, მიაქცევდნენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ წვიმიან დარში თითქმის შეუძლებელია სიარული მაღაროების მიდამოებში. მუშები უჩივიან ამ გარემოებას „ტალახში ვიფლობითო“ — ამბობენ ისინი. წვიმიან დარში, ღამით, პირდაპირ შეუძლებელია სიარული.

მუშების სახლთან მოწყობილია სასადილო და სამზარეულო, ორი თავი სადილი ღირს 55 კაპიკი. სასადილოს აქვს თავისი საკუთარი ჭურჭელი, სამზარეულო და სასადილო სუფთად არის შენახული და მუშებიც კმაყოფილნი არიან.

კარგად მუშაობს კოოპერატიული დუქანი, სადაც მუშები სარგებლობენ კრედიტით. დუქანში ყოველთვის მოიპოვება პური და სხვა საჭირო საგნები.

ლამაზად გამოიყურება „ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის სახელობის“ სამთამადნო მუშების კლუბი. კლუბი მშვენივრად არის მოწყობილი, სცენა და დეკორაციები საუცხოვოა.

კარგად მუშაობს აქაური დრამატიული წრე, რომელშიაც შედიან მუშები.

„გარდერობი მდიდარი გვაქვს—ამბობს კლუბის გამგე—ჭიათურის თეატრი ხშირად სარგებლობს ჩვენი გარდერობით“.

დრამატიული წრე კვირაში ერთხელ მართავს წარმოდგენებს, რომლებსაც მუშების გარდა , ესწრებიან გლეხები ახლო სოფლებიდან.

დრამატიული წრის გარდა არსებობს მუსიკალური, მომღერალთა, სალიტერატურო და პროფმოძრაობის შემსწავლი წრეები, რომლებშიაც მუშაობენ პერევისის მუშა-მოსამსახურეები.

არსებობს აგრეთვე სალიკვიდაციო სკოლა, სადაც უცოდინარი მუშები სწავლობენ წერა-კითხვას. ამას წინად სკოლამ გამოუშვა 100 კაცი, რომლებმაც სავსებით შეისწავლეს წერა - კითხვა.

ვერ არის დაყენებული კარგათ ლექციების საქმე, რადგან ჭიათურას არა ჰყავს კარგად მომზადებული ლექტორები, მათი მოწვევა სხვა ქალაქებიდან კი ძვირად ჯდება.

მოსაგვარებელია კინო - სურათების ჩვენების საქმეც. კლუბში მოწყობილია კინო, მაგრამ სურათები კი არ არის. ჭიათურა დაგვიანებით ღებულობს კინო - სურათებს და, ჭიათურის კლუბში ჩვენების შემდეგ, აძლევს მათ პერევისის მუშათა კლუბს.

საექსპორტოთ გამზადებული მარგანეცი და ხის მასალა მაღაროების გასამაგრებლად.

მუშათა საცხოვრებელ ბინასთან მოწყობილია ბიბლიოთეკა - სამკითხველო, ბიბლიოთეკაში ყოველთვის მოიძებნება ახალი გამოცემები ქართულ ენაზე. ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს როგორც რუსული, ისე ქართული გაზეთები.

ჯერ-ჯერობით არ არის მოგვარებული სამხედრო ხასიათის მუშაობა პერევისის მუშებს შორის. თავდაცვაავიაქიმს არა აქვს ჩამოყალიბებული თავისი უჯრედი, არ არის მოწყობილი აგრეთვე ტირი.

პერევისის მუშებს შორის ბევრნი არიან ყოფილი წითელ არმიელები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნენ გასამხედროების დარგში.

ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა.
10 დეკემბერი.

„სოფლის კავშირი“-ს საყურადღებოდ

ათი დღის წინათ მე შემთხვევა მქონდა ს. დიდი-ჯიხაიშში სხვათა შორის გავეცნობოდი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის მუშაობას.

ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარის ქუთათელაძის გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ შემოდგომის თესვის კამპანიისთვის მას მიუღია სესხის სახით 200 ფუთი სათესლე ხორბალი და იმის მაგიერ, რომ ის დაერიგებია სესხათ ღარიბ გლეხებისათვის, მას მიუყიდნია მათთვის ნაღდ ფულზე. სათესლე მასალაში აღებული ფული კი იწყო სალაროში, ალბათ იმ მიზნით, რომ ამხანაგობის გამგეობას რაიმე სავაჭრო საქმეში მოეხმარა.

წინადადება მივეცი გამგეობის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ დაებრუნებია ღარიბ გლეხებისათვის სათესლეში აღებული ფული და ამის შესრულება ეცნობებია ჩემთვის, მაგრამ დღემდის ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მომსვლია.

ეს მაგალითი საბაბს იძლევა ვიფიქროთ: მიუხედავად იმისა, რომ სათესლე მასალის სესხათ მისაცემათ საკმაო თანხები იყო გაღებული (ვადით მომავალ შემოდგომამდის), გლეხებს მაინც მოუხდა მისი ნაღდ ფულზე ყიდვა, რასაც ცხადია მოყვა თესვის კამპანიის დაბრკოლება.

გაქვსთ თუ არა ამის შესახებ გამოკვლევა და მიღებული ზომები?

კ. ჩხენკელი.

ელექტრო-სადგური ზოდნისხევში

(კახეთის მაზრა)

9 დეკემბერს ადგილობრივ აღმასკომის მიერ ახლად აგებულ ელსადგურიდან გაშვებულ იქნა პირველი ელექტრონის სინათლე. განათდა აქამდე ბნელი მიყრუებული ქუჩები.

სადგური 25 ცხენისძალიანია, ახლო მომავალში ელექტრონის ენერგიაზე გადაყვანილი იქნება ადგილობრივი წისქვილი.

ელსადგურის ამუშავების გამო ადგილობრივ სახალხო სახლში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ მაზრკომის და თემკომის წარმომადგენლები. ილაპარაკეს გლეხებმა, რომლებიც აღფრთოვანებით გამოსთქვამდნენ საბჭოთა ხელისუფლების დიდი სამშენებლო მუშაობის გამო.

საზეიმო სხდომის შემდეგ ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მიერ დადგა უფასო წარმოდგენა.

ს. ს—ი.

კოოპერატიული მუშაობა ახალგაზრდათა შორის

მოსკოვში დამთავრდა თათბირი ახალგაზრდათა შორის კოოპერატიული მუშაობის საკითხებზე.

როგორც აღნიშნული გვქონდა ეს თათბირი „ცენტროსოიუზმა“ მოიწვია საკავშირო ა. ლ. კ. ც. კ.-სთან ერთად.

ამ თათბირიდან დაბრუნებულმა თბილისის მუშკოოპის დელეგატმა ამხ. გ. ხანაძემ თათბირის შედეგების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

თათბირმა აღნიშნა, რომ კოოპერატიული მუშაობა ახალგაზრდათა შორის მოიკოჭლებს, რადგან კოოპერატიული ორგანოები არ აქცევენ მას ჯეროვან ყურადღებას.

შემდეგში ახალგაზრდათა შორის კოოპერატიული მუშაობის გასაუმჯობესებლად თათბირმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები.

ამ გადაწყვეტილებათა შორის აღსანიშნავია დადგენილება კავშირის განმტკიცების შესახებ ახალგაზრდობასა და კოოპერატიულ ორგანიზაციების შორის.

დადგენილების თანახმად, კოოპერატიულ ცენტრებს და მსხვილ მუშათა კოოპერატივების საორგანიზაციო განყოფილებებში უნდა იყვნენ სპეციალური ინსტრუქტორი ახალგაზრდათა შორის სამუშაოთ და ეს ინსტრუქტორი იმავე დროს იქნება ახალგაზრდობის წარმომადგენელი საორგანიზაციო განყოფილებაში.

ახალგაზრდობაში კოოპერატიულ იდეების გასავრცელებლად კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეძლევა ახალგაზრდათა თათბირების მოწვევა პერიოდულად კოოპერატიულ აქტივთან ერთად.

კოოპერატიულ მუშაობაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმის მიზნით თათბირმა საჭიროდ სცნო გახსნას სპეციალური მაღაზიების, სადაც იმუშავებენ მხოლოდ ახალგაზრდები. ამ მაღაზიებში მუშაობა ისე უნდა იქნეს დაყენებული რომ ისინი გადაიქცნენ სამაგალითო კოოპერატიულ სავაჭროებათ.

გარდა ამ სპეციალურ მაღაზიებისა ყოველ კოოპერატიულ სავაჭროსთან უნდა მოეწყოს ახალგაზრდათა განყოფილება, რომელიც იყიდის ახალგაზრდობისათვის საჭირო საგნებს.

თათბირმა იმსჯელა ახალ კოოპერატიულ მუშაკების მომზადების საკითხებზეც. „ცენტროსოიუზს“ უკვე აქვს მიღებული ზოგიერთი ზომები ამ მიმართულებით და ფიქრობს საკომერციო კოოპერაციის სპეციალური ინსტიტუტის გახსნას. თათბირმა „ცენტროსოიუზ“-ს ეს განზრახვა მოიწონა და საჭიროდ სცნო თბილისის პრაქტიკის ფართოდ გამოყენება.

დიდი ყურადღება მიექცა სასკოლო კოოპერაციის საკითხს. დელეგატების უმრავლესობამ სასკოლო კოოპერაცია პრაქტიკულად მოუწყობელ სისტემად მიიჩნია. მაგრამ ამიერ-კავკასიის დელეგატმა, რომელიც იყრდნობოდა ამიერ-კავკასიის პრაქტიკას ამ დარგში, დაჟინებით მოითხოვა ამ სისტემის დატოვება.

თათბირმა ეს საკითხი ღიად დასტოვა და მისი ყოველმხრივ შესწავლისათვის საჭიროდ სცნო თბილისის პრაქტიკის ფართოდ გამოყენება.

ფონდები ღარიბი გლეხების კოოპერატიულად შესაკავშირებლად

ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების ფონდის გასაძლიერებლად ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 1927—28 წელში მიღებულ მოგებიდან (200.000 მ.) [illegible]

ეს თანხა რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული? საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს—15.000 მან., აზერბეიჯანს—9.000 მან. და სომხეთის—6.000 მანეთი.

საქართველოს და აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკებს მიცემული აქვს წინადადება გამოჰყონ ავტონომიურ რესპუბლიკების ხვედრი წილი.

რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს აგრეთვე მიცემული აქვს წინადადება [illegible] 1927-28 წელში მიღებულ მოგების 15 პროცენტი ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების ფონდის გასაძლიერებლად.

ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა 1928-29 წლისათვის

ამიერ - კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს და ეკონომსაბჭოს უკანასკნელ გაერთიანებულ სხდომაზე განხილული იქნა ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ხარჯთაღრიცხვის პროექტი 1928-29 წლისათვის.

ა.-კ. ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული იქნა— 11.670.000 მან. რაოდენობით.

ფოსტა - ტელეგრაფის ძირითად ქსელის აღმშენებლობაზე 1928-29 წელში დახარჯული იქნება 110.000 მან. ამ თანხიდან 55.000 მან. გადადებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო დანარჩენი თანხა გამოყოფილი უნდა იქნეს ადგილობრივი თანხებიდან.

ქალ. ბაქოსა და თბილისის ტელეფონის ქსელის გასაყვანად 1928-29 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადადებული უნდა იქნეს სახსრები სახ. ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოსათვის 800.000 მან. აქედან ქალ. თბილისში გადადებული უნდა იქნეს 300.000 მან., ხოლო ბაქოში — 500,000 მან.

ქუთაისისა და განჯის ტელეფონის სადგურების აგების შესახებ ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველო უნდა შეუთანხმდეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და გამოარკვიოს, თუ რა თანხის გაღებას შესძლებენ ეს ქალაქები ტელეფონის სადგურების ასაგებათ.

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო, რომ 1928-29 წელში აგებული იქნას ბაქო - ევლახის ტელეფონის ხაზი, რომლის ღირებულება განსაზღვრულია 300.000 მანეთით. ამ თანხიდან 150.000 მან. გაღებული იქნება აზერბეიჯანის ადგილობრივ ბიუჯეტიდან.

საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

სმუს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა სამთო მრეწველობის ტრესტის მოხსენება ტყიბულის მაღაროების ტერიტორიაზე არსებული ტყეების გადაცემის შესახებ მაღაროების სამმართველოსათვის. პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო, რომ ეს ტყეები გადაეცეს სამთო მრეწველობის ტრესტს, რომელიც მაღაროების დამუშავებასთან ერთად აწარმოებს ტყეების ექსპლოატაციასაც. გადაწყდა შესაფერი შუამდგომლობის აღძვრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

ამასთანავე პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო, რომ შრომის ცეცხლმძლე აგურის ქარხანას გადაეცეს მაჟარულასა და ყანდარას უბნებში გამოყოფილი 225 ჰექტარი მიწა, რომელზედაც შრომის ქარხანამ უნდა გააშენოს აკაციის ტყე.

საზოგადო სამუშაოები უმუშევართათვის

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა უმუშევართათვის საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმა თბილისის და საქართველოს მასშტაბით. ამ გეგმის მიხედვით, თბილისში საზოგადო სამუშაოები მოეწყობა საბურთალოს ჭაობიან ადგილების ამოსაშრობათ, გზების გასაყვანად, ზოოლოგიური პარკის მოსაწყობად და ვაკეს შესაერთებლად საბურთალოსთან. უმუშევრები ჩაბმული იქნებიან აგრეთვე საბინაო მშენებლობის სამუშაოზე.

გონებრივი შრომის უმუშევარნი იმუშავებენ არქივებში.

საქართველოს მასშტაბით საზოგადო სამუშაოები უმუშევართათვის მოეწყობა ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთში და სამხრეთ - ოსეთში.

ბათომში საზოგადო სამუშაოები მოეწყობა ჭაობიან ადგილების ამოსაშრობათ ქუთაისში —დიდი ხანძრის დროს გადამწვარ უბნის კეთილმოსაწყობად.

საზოგადო სამუშაოებზე სხვა უმუშევრებთან ერთად გაიგზავნებიან ის ებრაელებიც, რომლებიც დაზარალდნენ ხანძრის დროს.

ჭიათურაში საზოგადო სამუშაოები მოეწყობა მდ. ყვირილას ნაპირების გასამაგრებლად, რომ ჭიათურის მთავარი ქუჩა დაცული იქნეს წყალდიდობისაგან.

ფოთში იწარმოებს ქალაქის ბაღის მახლობლად მდებარე ჭაობიანი ადგილების ამოშრობა.

სამხრეთ - ოსეთში გაყვანილი იქნება სატყეო მასალის გასატანი გზა 5 კილომეტრის მანძილზე.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ამიერ-კავკასიაში გასაღებულია 20.000.225 მან. ობლიგაცია

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 10 დეკემბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში გასაღებული იყო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის 20.000.225 მანეთის ობლიგაცია. აქედან საქართველოში—8.837.780 მან., აზერბეიჯანში—8.962.445 მანეთის და სომხეთში 2.200.000 მანეთის.

საქართველოში კოლექტიური ხელის მოწერით გასაღებულია—6.702.845 მან., ინდივიდუალური ხელის მოწერით—74.840 მან. და ნაღდზე—107.645 მან. ობლიგაცია. საქართველოს სოფლებში გასაღებულია სულ 875.180 მან. ობლიგაცია.

აზერბეიჯანში კოლექტიური ხელის მოწერით გასაღებულია 7.775.690 მან., ინდივიდუალურ ხელის მოწერით—18715 მან., ნაღდზე—214,040 მან. ობლიგაცია.

აზერბეიჯანის სოფლებში გასაღებულია სულ 585.625 მან., ხოლო სომხეთის სოფლებში—600.000 მან. ობლიგაცია.

სამრეწველო კადრების მომზადება

საკავშირო პროფსაბჭოში შესდგა თათბირი კომისიის, რომელსაც დავალებული აქვს სამრეწველო კადრების მომზადების საკითხის შესწავლა. თათბირმა, რომელსაც დაესწრნენ კავშირების ც. კ. წარმომადგენლები. განიხილა პროექტი დებულებისა სამრეწველო კადრების მომზადების შესახებ. პროექტის შინაარსი მოკლეთ ასეთია:

მუშაობას სამრეწველო კადრების რეზერვების შესაქმნელად უნდა მიეცეს ფართო საზოგადოებრივი ხასიათი. სამეურნეო მუშაობაზე მუშების დაწინაურების საკითხი უნდა გაირჩეს კავშირების ცენტრ. კომიტეტების პლენუმებზე. პროფსაბჭოებში, კონფერენციებზე და ყრილობებზე. სამეურნეო მუშაობაზე დასაწინაურებელ მუშებისა და მუშა-ქალების კანდიდატურები უნდა გაირჩეს მუშათა ფართო კრებებზე და წარმოებების საწარმოო თათბირებზე. პროფორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სამეურნეო ორგანოების იმ გეგმების შედგენაში, რომელიც ეხება სამრეწველო კადრების შექმნას და მათ მომზადებას.

სამეურნეო მუშაობაზე დაწინაურების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-ქალებს. საწარმოო თათბირების აქტიურ მუშაკებს და საშუალო საინჟინერო-ტეხნიკური პერსონალის კანდიდატურებს, იმ მუშებმა და მოსამსახურებმა, რომელთა წამოყენება განზრახულია სამეურნეო სამუშაოზე, წინასწარ უნდა მიიღონ საჭირო მომზადება. ამისათვის ყველა პროფორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, მუშების მოსამზადებელ და გადასამზადებელ სპეციალური კურსებისა და წრეების ქსელის გასაფართოებლად. ამავე დროს წითელი დირექტორების მოსამზადებელი მუდმივი კურსები და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკების მოსამზადებელი სხვა სასწავლებლები უმთავრესად უნდა შეივსოს დაწინაურებულ მუშებითა და მოსამსახურეებით. ახალგაზრდა მუშაკების მომზადება უნდა ხდებოდეს ძველ სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით.

თათბირმა არსებითად მოიწონა ეს დებულება.

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომუშავე რესპუბლიკანურ და ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანოებს და იმ შერეულ სააქციო საზოგადოებებს, რომელთა რეგისტრაციაც ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში სწარმოებს, გამოიანგარიშონ ადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯის სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებანი 1928—29 წლისათვის იმითი რაოდენობით, რაც არ აღემატება 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვების სათანადო დანიშნულებათ.

უკეთუ სამუშაოთა მოცულობა, 1928—29 წლისათვის დამტკიცებული გეგმის თანახმად, გაიზარდა 1927—28 წელთან შედარებით: სამრეწველო საწარმოებში 17 პროცენტზე მეტად და სავაჭრო საწარმოში—20 პროც. მეტად—სათანადო სახარჯთაღრიცხვო დანიშნულება შეიძლება გადიდებულ იქნეს

1928—29 წლისათვის საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯის სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა გამოანგარიშების დროს ზემოთ აღნიშნული სახელმწიფო ორგანოები და შერეული საზოგადოებანი ვალდებული არიან გაითვალისწინონ აღნიშნული ხარჯების შემდგომი შემცირება აპარატის რაციონალიზაციისა, ზედმეტი ფუნქციების მოსპობისა და მუშაობის სისტემის და მეთოდების გაუმჯობესების გზით და აგრეთვე სამმართველო ორგანოთა სადგომების შენახვისა და მომსახურეობისა, წარგზავნებისა, ფოსტა-ტელეგრაფისა, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების შემდგომი შემცირებით და ამა თუ იმ ორგანოს მოვალეობასთან არა უშუალოდ დაკავშირებული მიზნისათვის სახსრის დახარჯვის სრული მოსპობით.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაევალა შემოწმოს ამ დადგენილების შესრულება.

შრომის დაცვა საწარმოებში

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შესდგა რესპუბლიკანურ შრომის ეკონომიკის განყოფილებათა და მთავარ სამმართველოების წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც განიხილა კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების, შრომის დაცვის დარგში მომუშავეთა მომზადების და სხვ. საკითხები.

თათბირმა სავალდებულოდ აღიარა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება 1929 წ. პირველ იანვრისათვის.

შრომის ხელფასის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული უნდა იქნეს 1928—29 წ. დაწესებული ხელფასის მექანიკური გადიდება. ეს მომატება დანიშნულია სატარიფო რეფორმის გასატარებლად იმ საწარმოებში, სადაც იგი გატარებული არ არის (ან მთლიანად არ არის გატარებული), გამომუშავების ნორმები და ხანარდო მუშაობის გასამრჯელო შეიძლება გადასინჯული იქნეს მთელი წლის განმავლობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნორმების გადასინჯვას მსუბუქ ინდუსტრიაში.

თათბირმა აღნიშნა, აგრეთვე მუშაობის გაძლიერების საჭიროება შრომის დაცვის დარგში—საწარმოებში გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური პირები, რომლებიც უხელმძღვანელებენ უშიშროების ტეხნიკის საქმეს.

საქართველოს ურწმუნოთა კავშირში

ანტირელიგიური მუშაობა სკოლებში

საქართველოს ურწმუნოთა კავშირის ცენტრალური საბჭომ უკანასკნელი დროის განმავლობაში გააცხოველა მუშაობა ადგილებზე; საბჭომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები ანტი-რელიგიური მუშაობის გასაძლიერებლად როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

მომავალი წლის თებერვალში გადაწყვეტილია ურწმუნოთა კავშირის რესპუბლიკანური ყრილობის მოწვევა; მოსამზადებელი მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია.

ურწმუნოთა კავშირის ცენტრალურ საბჭომ შეიმუშავა სკოლებში ანტი-რელიგიური აღზრდის პროექტი: პროგრამები შემუშავებულია 4, 7 და 9 წლედებისათვის.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩამოყალიბებულია საორგანიზაციო ბიუროები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ ანტი-რელიგიურ მუშაობას; ამ მუშაობაში ჩაბმული იქნებიან საუკეთესო ძალები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორამ სურვილი გამოსთქვა წაიკითხოს პოპულარული ლექციები სამეცნიერო თემებზე: ბუნების მეტყველება, ფიზიოლოგია, ფიზიკა და სხვა.

ურწმუნოთა კავშირის ცენტრალურ საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის წინაშე, რათა მომავალი სასწავლო წლიდან შემოღებული იქნეს ანტი-რელიგიური კურსი პედაგოგიური ფაკულტეტის ყველა კურსებზე.

ამას გარდა მიღებულია ზომები მთელი რიგ ბროშურების გამოსაცემად ანტი-რელიგიურ თემებზე, ანტი-საშობაო და ანტი-სააღდგომო კამპანიების ჩასატარებლად და ანტი-რელიგიურ ფილმების დასადგმელად.

თათბირი აბორტებთან ბრძოლის შესახებ

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან შესდგა თათბირი აბორტებთან (მუცლის მოშლასთან) ბრძოლის შესახებ. თათბირს დაესწრნენ—დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილებების წარმომადგენლები, სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტ-პროფესორები, [illegible] წარმომადგენლები. თათბირი მოწვეული იყო თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების დედათა და ბავშვთა დაცვის სექციის თაოსნობით.

თათბირზე მოსმენილი საინფორმაციო მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში აბორტებმა მასიური ხასიათი მიიღო. აბორტს მიმართავს თითქმის ყველა, ვისაც არა სურს რომ შვილი ეყოლოს. როცა ნებართვის მიღებას ვერ ახერხებენ, ქალები მიმართავენ ექიმბაშებს, ხმარობენ მათ წამლებს, რაც იწვევს ქალის ჯანმრთელობის გაუარესებას. ხშირია შემთხვევა, როცა ექიმბაშის „წამლობას“ შედეგად მოსდევს ქალის სიკვდილი.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომ აბორტთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად და შესაფერი პრაქტიკული ღონისძიებების შესამუშავებლად თბ. ჯანმრთელობის განყოფილების დედათა და ბავშვთა დაცვის სექციასთან დაარსებული იქნეს სპეციალური კომისია. კომისიამ უკვე დაიწყო მუშაობა

თათბირზე მიღებული დადგენილებით მუცლის მოშლის ნებართვა ყოველ ცალკე შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს აღნიშნული კომისიისაგან.

რკინისგზეზე

დაჯახება სადგ. განჯაში

11 დეკემბერს სადგ. განჯაში, სადგურიდან გასვლის დროს სატვირთო მატარებელი № 34 დაეჯახა ორთქლმავალს. დაჯახების დროს ორთქლმავალი დაზიანდა.

მატარებელი № 346 ამ შემთხვევის გამო განჯიდან წავიდა 2 საათის და 25 წუთის დაგვიანებით.

მატარებლის გაწყვეტა

11 დეკემბერს სადგ. სიტალ-ჩაიდან მატარებელი № 540-ის გაშვების დროს, უკანასკნელს, შემადგენლობა გაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ სადგურის ადმინისტრაცია აძლევდა მემანქანეს ნიშნებს მატარებლის გაჩერების შესახებ, უკანასკნელმა იგი არ გააჩერა და განაგრძო გზა. მხოლოდ სადგ. იიშმაში მისვლისას გაიგო შემადგენლობის მატარებლის გაწყვეტა და დაბრუნდა უკან სიტალ-ჩაიში იქ დარჩენილ 45 ვაგონის წასაყვანად.

ორთქლმავლების შეკეთება

ა.-კ. რკ. გზების გამგეობაში მიღებული ცნობით, გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ჩრდილოეთ-კავკასიის რკ. გზებს, ყოველთვიურად შესაკეთებლად მიიღოს ა.-კ. რკ. გზებიდან ორ-ორი ორთქლმავალი.

ახალი სახლი

ნავთლუღის წყალსაქაჩავის მუშა-მოსამსახურეებისათვის, წყალსაქაჩავის ახლოს ა.-კ. რკ. გზების გამგეობა აშენებს საბინაო სახლს.

სასამართლო

გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

(პროცესის მეთერთმეტე დღე)

უზენაესმა სასამართლომ გუშინ დილის სხდომაზე დაამთავრა მოწმეთა დაკითხვა გაფლანგველების: მაისურაძის, ჩიკოიძის და სხვ. საქმის გარშემო.

მოწმეთა დაკითხვის დამთავრების შემდეგ მხარეები ექსპერტებს აძლევენ წერილობით შეკითხვებს, რომლებზედაც პასუხის გასაცემად ექსპერტებს ეძლევათ სამი დღის ვადა.

ექსპერტების დასკვნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. მათ უნდა გამოარკვიონ ცალ-ცალკე თითოეული ბრალდებულის დანაშაული; ვის რამდენი აქვს გაფლანგული თანხა, ვინ რა სიყალბე ჩაიდინა, ვინ რა ფუნქციას ასრულებდა საფინანსო ნაწილში და სხვ..

სასამართლო აძლევს ექსპერტებს 3 დღის ვადას დასკვნების წარმოსადგენად. სხდომა შეწყდა ორშაბათ დილამდე.

ორშაბათს 17 დეკემბერს დილის ათ საათზე დაიწყება ექსპერტების დასკვნების მოსმენა.

მკვლელობა 3 მანეთის გულისათვის

გერონტი კონსტანტინეს ძე თაბუკაშვილი და აკაკი ოქროპირის ძე ხუროძე კარგი ამხანაგები იყვნენ.

ისინი ერთად მსახურობდნენ რკინის გზის დამცველ რაზმში ქ. ქუთაისში, საიდანაც ორივე ერთად მივლინებულ იქნა სამტრედიაში. აქ ისინი ხიდთსადენის სადგურს ემსახურებოდნენ. ცხოვრობდნენ ერთ ბინაზე. თაბუკაშვილი და ხუროძე განსაკუთრებით კარგ განწყობილებაში იყვნენ. ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ერთმა ამბავმა უკმაყოფილება ჩამოაგდო ამხანაგებს შორის.

აკაკი ხუროძეს დაეკარგა 3 მანეთი. მან ეჭვი მიიტანა თაბუკაშვილზე. ეჭვი გაძლიერდა იმ გარემოებამ, რომ თაბუკაშვილმა რომელსაც ფული არ გააჩნდა, მეორე დღეს იყიდა საუკეთესო ხარისხის პაპიროსი და სასმელ-საჭმელი.

ხუროძე ფიქრობდა, რომ თაბუკაშვილმა მას ძილის დროს ამოართვა ჯიბიდან ის ფული, თუმცა ამ ეჭვს თაბუკაშვილს არ უმხელდა. ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ამხანაგს გაანდო თავისი აზრი.

ეს ამბავი მივიდა თაბუკაშვილის ყურამდე. მოხდა უკმაყოფილება ამხანაგებს შორის. თაბუკაშვილმა ძალიან იწყინა ქურდობის დაბრალება.

გავიდა რამდენიმე ხანი.

ერთ დღეს, სახელდობრ, ა. წ. 29 აპრილს გერონტი თაბუკაშვილი თოფით ხელში იდგა სადგუშაგოზე. საღამოს იგი უნდა შეეცვალა აკაკი ხუროძეს, რომელთანაც სწორედ იმ დღეს ჩხუბი მოუვიდა თაბუკაშვილს.

საღამოს ხუროძე მიდის სადგუშაგოზე თაბუკაშვილის შესაცვლელად. მიუახლოვდა თუ არა სადგუშაგოს, თაბუკაშვილმა მოიმარჯვა თოფი გამოუმიზნა და ორჯერ ესროლა ხუროძეს. ხუროძეს ორივე ტყვია მოხვდა და იქვე დაეცა უსულოდ.

გერონტი თაბუკაშვილი გაასამართლა ქუთაისის სამაზრო სასამართლომ.

სასამართლოში თაბუკაშვილმა თავი იმართლა და განაცხადა, რომ მკვლელობა მან თითქოს თავდაცვის მიზნით ჩაიდინა.

მან სთქვა: „მოახლოვებისას ხუროძემ გინება დამიწყო და ჯიბისკენ წაიღო ხელი რევოლვერის ამოსაღებად. მე მოვასწარი და მოვკალი“.

მოწმეებმა კი დაადასტურეს, რომ ხუროძეს სრულებით არ ჰქონია რევოლვერი.

სასამართლომ გერონტი თაბუკაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლაციით.

მერ.

ქრონიკა

რემედასის კვირეული

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის ნებართვით 23 დეკემბრიდან 1 იანვრამდე მთელ საქართველოში ჩატარებული იქნება რემედასის კვირეული.

თათბირი მეაბრეშუმეობის შესახებ

19 დეკემბერს თბილისში მოწვეულია გაფართოვებული თათბირი მეაბრეშუმეობის შესახებ. თათბირი განიხილავს მეაბრეშუმეობის დარგში კონტრაქტაციის ჩატარების გეგმას.

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობებისა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

100 მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებამ უკანასკნელ ათი დღის განმავლობაში გაანაღდა ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის მეხუთე ტირაჟის (ჩატარებული იქნა არხანგელსკში 20—22 ნოემბერს) 100-ზე მეტი მოგება.

შეღავათები ლითონის ნატეხების შემკრებთ

საკავშირო ფინსახკომმა დაადგინა: განთავისუფლებული იქნენ სარეწაო გადასახადისგან ყველა ის პირები, ვინც დაქირავებული მუშა-ხელის გამოუყენებლად აგროვებს ლითონის ნატეხებს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებისათვის და იმ შერეულ სააქციო საზოგადოებებისათვის, რომლებშიც მონაწილეობას იღებს კოოპერატიული და სახელმწიფო კაპიტალი.

შეღავათი შეიძლება მინიჭებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლითონის ნატეხების შემკრებს ექნება მოწმობა წარმოებიდან ან ორგანიზაციიდან, რომ ის მათთვის აგროვებს ლითონის ნატეხებს.

ახალი გაზეთი

კახეთის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დაიწყოს საკუთარი გაზეთის „სიმართლე“-ს გამოცემა. რედაქცია მოთავსებული იქნება გურჯაანში.

1926 წლამდე ასეთივე სახელწოდებით სიღნაღში გამოდიოდა ყოფ. სიღნაღის სამაზრო აღმასკომის გაზეთი. სამაზრო საფინანსო განყოფილებას და აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება მიეცა გამოძებნონ გაზეთის გამოსაცემათ საჭირო თანხა.

ფეხსაცმელების განაწილება

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოსთვის გამოყოფილია 720.000 მანეთის ფეხსაცმელი. ამ რაოდენობიდან მუშკოოპს მიეცა—144.000 მან., საქ. სახ. ვაჭრობის ამხანაგობას—93.300 მანეთის, აჭარისტანის სახ. ვაჭრობის სამმართველოს—93.300 მან. აფხაზეთის სახ. ვაჭრობის სამმართველოს—15.400 მ. ცეკავშირს—216.500 მ. „ზაკვოენპო“-ს—43.000 მ. აფხაზ. კოოპ. კავშირს—29.000 მ., ა.-კ. საგზაო-სატრ. სამომხ. საზოგადოებას—72.000 მან. და სარეზერ. ფონდში გადადებულია 107.800 მან. ფეხსაცმელი.

თბ. აღმასკომში

◆ **გზების შეკეთება.** თბილისის აღმასკომი ამუშავებს მაზრაში გზების კაპიტალურ შეკეთების გეგმას.

◆ **ტრამვაით მგზავრობის ახალი წესი.** ტრამვაის დირექცია იმუშავებს ტრამვაით მგზავრობის ახალ წესს.

სხვადასხვა

◆ **საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოებაში** ხვალ, 14 დეკ. საღამოს 7 ს. (საქ. მუზეუმის აუდიტორიაში) ალ. ბარამიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ვისრამიანის ქართული თარგმანისათვის“.

◆ **ნავთი გლეხებისათვის.** სადგ. იორის მახლობლად (რკინის გზის ფარგლებში) ცეკავშირი სდგამს ნავთის რეზერვუარს.

აქედან იწარმოებს ნავთის განაწილება მახლობელ კოოპერატივებს შორის.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** სტავროპოლიდან—არუთინოვს, მოსკოვიდან—კაკუშაძეს, ბაქოდან—ტიმვერელს, იორიდან—მიქაძეს, დიდი-ჯიხაიშიდან—ჯაფარს.

„პროლეტარული მწერლობა“ № 10—11

გამოვიდა „პროლეტარულ მწერლობის“ მორიგი ნომერი (№№ 10—11) შემდეგი შინაარსით: ქ. კალაძე—„მთავარი საქმე“, ი. ვაკელი—„წერილი ახალგაზრდობას“, ე. პოლუმორდვინოვი—„რკინის გზები“; ფრ. ნაროუშვილი—„ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში“; კ. ლორთქიფანიძე—„ბორანი“; ს. ეული—„წინა ღამით“; ქ. კალაძე—„გლეხები“; ქ. ბობოხიძე—„კომკავშირული ფორმით“. მუშაობა მხატვრულ ლიტერატურის დარგში (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის რეზოლიუცია). ბ. ბუაჩიძე—„მემარჯვენე საშიშროება ლიტერატურაში“. პროლეტარულ მწერლობის დღიური: მწერლის შენიშვნები— კ. ლორთქიფანიძე; ივანოვისა და ხალტურის წინააღმდეგ— ვ. ლუარსაბიძე; მოხალისე ექიმბაში.. ანუ ვინ „იცავს“ პროლეტარულ მწერლობას“. თეატრალური ცხოვრება: „ანზორ“—შ. მანაგაძე. ქუთაის-ბათომის აკადემიური დრამა—კ. [illegible]ლაძე. სრ. საქ. პრ. მწ. ასოციაციის მეორე პლენუმი, ბიბლიოგრაფია.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ჰუგენოტები“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჰუგენოტები“.

◆ **მოზარდ მაყურებელთა თეატრში** დღეს მეორე აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „რობინ გუდ“.

◆ **„რღვევა“.** რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

◆ **„რელსები გუგუნებენ“.** მუშათა თეატრში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რელსები გუგუნებენ“.

შემთხვევები

თავდასხმა

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ პასუხისგებაში მისცა ერვანდ იოსების ძე აგაჯანოვი, რომელსაც ბრალდება თავდასხმა გაძარცვის მიზნით.

შეპყრობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა პეტრე ივანეს ძე ოჩეველკოვი, მიხეილ ნიკოლოზის ძე პეტროვი (უბინაო და სურენ არშაკის ძე ოვანესოვი. ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

გაქურდეს ბეგლარ გაბისონიას ბინა (წალკის ქ. № 8): წაიღეს 100 მანეთის ნივთები.—გეორგ აგაბაბოვის ბინიდან მოიპარეს 480 მანეთი.—გუშინწინ ღამით. ვიღაც ბოროტმოქმედებმა გასტეხეს საქართ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მაღაზიის (სადგურის ქ. № 12) სალარო. მაგრამ სალარო ცარიელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ქურდებმა გასტეხეს გვერდით მდებარე მუშკოოპის მაღაზია, საიდანაც წაიღეს 200 მანეთის საქონელი.

ხანძარი ფოთში

(დეპეშით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ფოთი, 12 დეკემბერი. დღეს 10 საათზე პრიმუსის აფეთქების გამო ცეცხლი გაჩნდა ახლად აგებულ საცივარში. ცეცხლი მოედო შენობის მთავარ კორპუსს და მეორე სართულიდან გადავიდა მესამე და მეოთხე სართულზე. ცეცხლის ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საცივარის მუშებმა, მეხანძრეთა რაზმმა და კატერ „მუშა“-ს ეკიპაჟმა. ხანძარი ორ საათში იქნა ჩაქრობილი. ქარხნის მექანიკური ნაწილები არ დაზიანებულა. ზარალი უმნიშვნელოა. საექსპლოატაციო მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. გრძელდება ტვირთის მიღება.

შრომის კანონთა კოდექსის შევსება

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება შრომის კანონების კოდექსის შევსების შესახებ.

რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს დაევალა კოდექსში შეიტანონ ცვლილება, რომლის თანახმად ხელფასი საანგარიშო წიგნებით უდავოთ უნდა გადახდეს სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს; რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცა აგრეთვე მიიღონ ზომები სახალხო სასამართლოების შრომის სესიების და შრომის პროკურატურის მუშაობის გასაფართოებლად; პროკურატურას უნდა დაევალოს განახორციელოს თავისი უფლება შრომის სესიების დადგენილებებზე მეთვალყურეობის შესახებ, საკასაციო პროტესტების და საკასაციო ინსტანციებში უფრო სრული მონაწილეობის გზით.

მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა შრომის კანონების დამრღვევი პირები უსათუოთ მიცემულ იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის და დისციპლინარული წესით. ეს ზომა განსაკუთრებით გაძლიერებული უნდა იქნეს მათ წინააღმდეგ, რომლებიც უკანონოთ ითხოვენ მუშებს. ასეთი საქმეები გარჩეული უნდა იქნეს პირველ რიგში.

ა.-კ. ეკონომსაბჭოში

ა.-კ. გეოდეზიური სამმართველო

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე დამტკიცებული იქნა დებულება ა.-კ. გეოდეზიურ სამმართველოს შესახებ.

ნუხის აბრეშუმსახვევი ქარხანა

ვინაიდან ნუხის აბრეშუმსახვევი ქარხნის პროექტი ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა შეჩერებული იქნეს ქარხნის შენება. ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაევალა გამოარკვიოს. თუ ვინ არის დამნაშავე მომქმედ კაპიტალურ მშენებლობის დებულების დარღვევაში. ა.-კ. ტეხნიკურ - სამშენებლო კომიტეტს წინადადება მიეცა დააჩქარებით დაამუშაოს ნუხის აბრეშუმსახვევი ქარხნის პროექტი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 13 დეკემბერი

გადაცემა რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სტუდიიდან.

პარასკევი, 14 დეკემბერი

პარასკევს, 14 დეკემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საუბარი ციკლიდან—„ტეხნიკა მასებს“; თბილისის რადიო-გაზეთი; საუბარი—„[illegible] და მისი საწინააღმდეგო აქცია“; საუბარი—„როგორ წარმოიშვა შინაური ცხოველები“; ტეხნიკური კონსულტაცია; საუბარი გლეხებთან ოსურ ენაზე; კონცერტი სტუდიიდან; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი; 15 დეკემბრის პროგრამის გადაცემა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, ა. წ. 13 დეკემბერს, დღის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მიქაძე, ციხელაშვილი, ხეჩიკიანი, ქაცარავა, [illegible], [illegible], კვინიხიძე და [illegible].

ხუთშაბათს, ა. წ. 13 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილების ბინაზე (ოთახი 66) შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.

სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის ყველა წევრის და აგრეთვე ამხ. ჩუბლულიას და ჯულახიძის დასწრება.

სავალდებულოა აგრეთვე ქვემოდ დასახელებულ პარტიაში მისაღებ ამხანაგების დასწრება: შალვა ანტონის ძე ესებუა, სპირიდონ სიმონის ძე ფხაკაძე, მუსტაფა იუსუფის ძე ჯამალოვი, თეოდოსი რაჟდენის ასული აბაშიძე, ამხან ამაზასპის ძე ხოჯაიანი, გაგეიკა მარისეგის ასული მამიკონიანი, სონია გიორგის ასული მგვრელიშვილი, მიხეილ სიმონის ძე პოპოვი, ლევ ზენონის ძე კლევშინსკი, ნაუმ გრიგოლის ძე პრივტი, ივანე სიმონის ძე შუბაშვილი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე რეინჰარდტი, სტეფანე ანდრიას ძე ზელოუსოვი, მურად ჰუსეინის ძე ონანიძე, რაჟდენ ზურაბის ძე ბურჩიანი, დავით ვასილის ძე ლომჩავა.

სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე ლიპარიტ მესროპის ძე გიულუმიანი და ალექსანდრე ვარლამის ძე ქოჩიბაძე.

ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სადელეგატო კრებების კოოპერატიულ, იურიდიულ და პროფესიონალურ სექციების მეცადინეობა შესდგება 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე.

კოოპერატიული სექცია ქართულ ენაზე ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის შენობაში და რუსულ ენაზე მთავარი ფოსტის შენობაში (კლუბ. პრ.).

პროფკავ. სექცია რუსულ ენაზე ქალაქის რაიკომის შენობაში (სოლოლაკი).

იურიდიული სექცია რუსულ ენაზე იუსტიციის სახ. კომისარიატის შენობაში (ტრიბუნალის ქ. № 32).

ლენინის რ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სადელეგატო კრების ჯგუფების მეცადინეობა.

1-ლი და მე-2 ქართული ჯგუფის (გაერთიანებული)—რაიკომის შენობაში, მე-3 რუსული ჯგუფის—ერევნისკის სახ. კლუბში, მე-4 რუსული ჯგუფის—ა.-კ. რკინის გზების სამმართველოში.

სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკ. 1-ლი და მე-2 კურსთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დღეს 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, შესდგება უჯრედის მორიგი ღია გაერთიანებული სხდომა. სავალდებულოა წევრების და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად.

სახ. პოლიტ. ინსტ. მექანიკური ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები კალდებულნი არიან გამოცხადდნენ ბიუროში ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, საღ. 5 საათზე.

ეგნატაშვილი ალექ., ბაღიაშვილი შალვა, ჭარაია კონსტ., აგიშიანი მარო, ფარულავა რაფიელ, ჩიხლაძე მიხეილ, აბაზოვი ივანე, ახვლედიანი აკაკი.

საქ. კ. პ. (ბ) საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა საკანდიდატო რიგების გადამსინჯავი კომისია იუწყება, რომ კანდიდატების გადასინჯვის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1928 წ. 20 დეკემბერი. ყველა კანდიდატი, რომელთაც ადგილებზე გადასინჯვა არ გაუვლიათ აღნიშნულ დრომდე პირადათ უნდა გამოცხადდნენ გადასასინჯავათ ცენტრალურ გადამსინჯავ კომისიაში (თბილისი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისია, რუსთაველის პრ. № 24. მესამე სართული. ოთახი № 3).

აღნიშნულ დროს შემდეგ საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა ყველა კანდიდატი, რომლებსაც გადასინჯვა არ გაუვლიათ, ჩაითვლებიან საკანდიდატო რიგებიდან მექანიკურად გამორიცხულად.

თბ. სახ. უნივ. აგრონომიული ფაკ. არსებული ა. ლ. კ. კავშირის 1-ლი უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ წევრების აღრიცხვის უკანასკნელი ვადათ დანიშნულია 15 დეკემბერი. ამ ხნის განმავლობაში ვინც არ გატარდება აღრიცხვაზე, მექანიკურად გამოირიცხება ორგანიზაციიდან.

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ისაკ სარჩიმელიას, ნიკოლოზ ბიბილეიშვილს, ბეგლარ კარახანოვს და ალექსანდრე წივილიძეს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ საკონტროლო კომისიაში (რუსთ. პრ. 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა იმ კანდიდატებს, რომლებიც არ გატარებულან კანდიდატთა გადამსინჯავ კომისიაში ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ბიურო კოლექტივში.

დღეს, 13 დეკემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება სახ. უნივ. სოც.-ეკ. ფაკ. მე-3 და მე-4 კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. დასწრება წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 82

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ა.-კ. ხფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში უფლების მინიჭების შესახებ დააწესოს ადმინისტრატიული გადასახდელი ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა. კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში მიენიჭოს უფლება, მის მიერ, ვაჭრობის მოწესრიგების წესით, გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, დააწესოს შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს ასი მანეთისა;

ბ) იძულებითი მუშაობა ვადით არა უმეტეს ერთი თვისა;

გ) დატუსაღება ვადით არა უმეტეს ერთი თვისა.

2. ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ გადასახდელს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ორგანოს ან მილიციის ორგანოს მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, გადასწყვეტს სამაზრო ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი, ხოლო სადაც იგი არ არსებობს—სამაზრო, ქალ. ფოთში—კი საქალაქო მილიციის უფროსი იმ წესით, რაც განსაზღვრულია დებულებით „სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ" (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მეშვიდე №-რი, მუხ. 100).

3. ჯარიმის გადახდით შემოსული ფულადი თანხა მიექცევა ხაზინის შემოსავლად ა-კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს ხარჯთაღრიცხვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

[illegible] 11-28 სტ.-106

დადგენილება № 01355

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

10 დეკემბერი 1928 წ.

რადიო-დადგმულობის სარგებლობისა და მათი რეგისტრაციის წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 1928 წლის 14/VI დადგენილებისა „რადიო დადგმულობის და სატრანსლიაციო მოწყობილობის შესახებ" და საკავშირო სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის 1928 წლის 17/VII ინსტრუქციისა „რადიო დადგმულობისა და სატრანსლიაციო მოწყობილობის სარგებლობისა და მათი რეგისტრაციის წესის შესახებ", შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საქ. ს. ს. რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე, რომელსაც უდგას რადიო-მიმღები, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიძინოს სარეგისტრაციო ბარათი, შეავსოს იგი, მოჭრას სარეგისტრაციო ცნობა და გაგზავნოს მეორე გვერდზე დაბეჭდილი მისამართის მიხედვით. ცნობა იგზავნება უფასოდ, რის გამო საფოსტო ნიშნის დაწებება გაგზავნის დროს არ არის საჭირო.

2. სარეგისტრაციო ცნობის გაგზავნის შემდეგ მოწმობა რომელიც დარჩება რადიო-მიმღების პატრონს უნდა იქნეს წარდგენილი სახლის მმართველობაში (სახლის პატრონს ან სხვა), ხოლო სოფლის ადგილებში—სასოფლო საბჭოებში სარეგისტრაციო სიაში შესატანად. მოწმობაზე სათანადო აღნიშვნის გასაკეთებლად, რის შემდეგ რადიო-მიმღები ითვლება რეგისტრაციაში გატარებულად.

3. რეგისტრაციაში გატარებული მოწმობა უნდა ინახებოდეს რადიო-მიმღებთან და ასეთი პატრონის მიერ უნდა წარედგინოს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს და მისი ადგილობრივი ორგანოების კონტროლიორებს მათი მოთხოვნილებისამებრ.

შენიშვნა: ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის და მის ადგილობრივი ორგანოების კონტროლიორებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მოწმობა ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის იმ დაწესებულების ღერბიანი ბეჭედით შემოწმებული და თანამდებობის პირის ხელის მოწერით, რომელმაც გასცა მოწმობა.

4. მოწმობა რადიო-მიმღების სარგებლობის უფლების შესახებ ძალაშია მხოლოდ მასში აღნიშნულ ვადის გასვლამდე, ე. ი. ერთი წლით დღიდან სარეგისტრაციო ბარათის შეძენისა (დრო რადიო-მიმღების დადგმისა). აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ რადიო-მიმღების სარგებლობის უფლება შესწყდება და მოწმობა ითვლება ძალა დაკარგულად.

5. მოწმობის ვადის გასვლის დღისათვის რადიო-მიღების პატრონმა უნდა შეიძინოს ახალი სარეგისტრაციო ბარათი და შეასრულოს პირველ და მეორე მუხლებში აღნიშნული მოთხოვნილებანი, ან და აცნობოს ა. კ. კავშირგაბმულობის სამმართველოს რადიო-მიმღების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. რეგისტრაციაქმნილ დეტექტორული რადიო-მიმღების პატრონი, უკეთუ გადააკეთებს ან შეცვლის ასეთს ლამპიანით ვალდებულია შეიძინოს სარეგისტრაციო ბარათი ლამპიანი რადიო-მიმღებისათვის და შეასრულოს პირველ და მე-2 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილება.

7. რადიო-მიმღებთა დადგმა, იმ უცხოელ მოქალაქეთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არიან, იწარმოებს შემდეგი წესით

ა) უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრებს და საკონსულო წარმომადგენლებს რადიო-მიმღების დადგმის უფლება აქვთ საკითხის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ა. კ. რწმუნებულთან წინასწარ შეთანხმებისა, და მისი მეშვეობით ა. კ. კავშირგაბმულობის სამმართველოსაგან ნებართვის მიღების შემდეგ.

ბ) დანარჩენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეთ და აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ორგანიზაციებს და საწარმოებს, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფებიან, უფლება აქვთ რადიო-მიმღები დადგან მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ორგანოებისაგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ დაწესებულების მიერ რეგისტრაციის შესახებ მოწმობის გაცემის დროს—მოწმობა მოიჭრება სარეგისტრაციო ბარათიდან და მასზე დაისმება შტამპი „უცხოელი".

შემდეგში ამა მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებში აღნიშნული მოწმობა შეიტანება სახლის მმართველობის სარეგისტრაციო სიებში (სახლის პატრონის და სხვა). ხოლო სოფლის ადგილებში—სასოფლო საბჭოებში (მუხ. 2)..

8. რადიო-მიმღების პატრონის მიერ საცხოვრებელ ადგილის გამოცვლის და მასთან დაკავშირებით რადიო-მიმღების გადატანის დროს, ასეთი პატრონი ვალდებულია:

ა) შეამოწმოს თავისი მოწმობა ახალი სახლის მმართველობაში, ან სასოფლო საბჭოებში და

ბ) გაგზავნოს წერილობითი ცნობა ახალი მისამართის აღნიშვნით იმ ადგილობრივ კავშირგაბმულობის სამმართველოში, რომელშიაც რეგისტრაციაში იყო გატარებული რადიო-მიმღები.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც რადიო მიმღების პატრონი გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს ვადით არა უმეტეს სამი თვისა ცნობის გაგზავნა კავშირგაბმულობის სამმართველოში საჭირო არ არის.

9. სანაპირო ზოლში რადიო-მიმღების დადგმა (100 კლ. ზღვის საზღვრიდან ან ზღვის ნაპირის საზღვრიდან სსრ კავშირის ტერიტორიის სიღრმეში) ქალ. ქუთაისის გამონაკლისით, დაიშვება შემდეგი წესების დაცვით:

ა) დეტექტორული რადიო-მიმღების დადგმა სანაპირო ზოლში მოხდება საქ. სსრ მთელ ტერიტორიისათვის საერთო წესით;

ბ) ლამპიანი რადიო-მიმღების დადგმა სანაპირო ზოლის შიგნით შეიძლება მოხდეს მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი დაწესებულებიდან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.

10. მეცხრე მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნული ნებართვის მისაღებად უახლოეს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში შეიტანება განცხადება ორ ცალად. განცხადებაში შესატანი (ცნობები რადიო-დადგმულობის პატრონის და მისთვის პასუხისმგებელ პირის შესახებ) უნდა იქნეს დამოწმებული სახლის მმართველობის მიერ, ხოლო სოფლის ადგილებში სასოფლო საბჭოების მიერ. მოწმობის გაცემის დროს მასზე დაისმება დაწესებულების ღერბიანი ბეჭედი და შტამპი „სანაპირო", მოწმობა უბეჭდოთ და უშტამპოთ არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

11. საერთო წესით რეგისტრაციაში გატარებულ რადიო-მიმღების პატრონის სანაპირო ზოლში გადასვლის შემთხვევაში (მ. ძ. პირველი და მეორე) მიტანილ აპარატების დადგმამდე უნდა იქნეს მიღებული ნებართვა მუხ. მუხ. 9 და 10-ში გათვალისწინებულ წესისამებრ. ნებართვის გაცემის დროს წინანდელ მოწმობაზე დაისმება ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების ბეჭედი და შტამპი „სანაპირო". მოწმობა ის ნამდვილია მისი ვადის გასვლამდე და ახალი [illegible] გადასახადი ამ შემთხვევაში არ გადახდება.

12. ადმინისტრატიული წესით პასუხისგებაში მიეცემიან სისხლის სამართლის კოდ. 208 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით:

ა) რადიო-დადგმულობის პატრონი, რადიო ადგურის სათანადო რეგისტრაციის და ნებართვის გარეშე მოწყობისათვის ან სააბონემენტო გადასახადის გადაუხდელად მისი სარგებლობისათვის;

ბ) სახლის პატრონი, მოიჯარადრე და აგრეთვე სასოფლო საბჭოების თავმჯდომარე პირი სახლის [illegible] ან სასოფლო ადგილებში არსებულ რადიო-დადგმულობათა სიების შეუდგენლობისათვის და რადიო-დადგმულობის შესახებ საბჭოების რეგისტრაციაში გაუტარებლობისათვის.

რადიო-დადგმულობის წესების დამრღვევი განსაკუთრებით სოფლად, როცა დამრღვევი ამ ხელისუფლებაში ცნობილი არ არის და როცა დარღვევა უმნიშვნელო ან მცირეა, სასჯელი, როგორც საერთო წესი, უნდა განისაზღვროს გაფრთხილებით.

13. ადმინისტრატიული გადასახდელის დადების უფლება ეძლევათ ადმინისტრატიულ განყოფილებათა უფროსებს და მათ მოადგილეებს, ხოლო სადაც ასეთი არ არის—მაზრის მილიციის უფროსებს.

14. რადიო- დადგმულობის სარგებლობის და მათი რეგისტრაციის წესების დარღვევის შესახებ შედგება ოქმი. მოისპობა საქმე დაიდება გადასახდელი. მოიყვანება სისრულეში და აგრეთვე გადაისინჯება და გასაჩივრდება დადგენილობა, გადასახდელის დადების შესახებ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების და ქალაქის საბჭოების სავალდებულო დადგენილებათათვის დაწესებული წესისამებრ.

15 დადგენილება ძალაში შედის 1929 წლის 1 იანვრიდან

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბურია.**

შ. ს. ს. კომისარიატის ადმ. სამმართველოს უფროსი—რესპუბლიკის მილიციის უფროსი **ხმალაძე.**

შვილები: პოლიქ.ი, ანტონინა და ვლიაია; შვილიშვილები: ალექსანდრა ქურხია, გიორგი ჩიგოიძე, შალვა გაბრიჩიძე, მათიკო და მიხეილ ბარბაქაძეები და სიძე დიომიდე ბარბაქაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მიხეილ ოქროპირის ძე ბებიაშვილი

დასაფლავება მოხდება ს. [illegible], [illegible] მაზრა (ა.)

აკაკი ჭიონია, ჟერიანე გიორგაძე, აკაკი სირაძე, დიტო ლომთაძე და ალ. ბ[illegible]ძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პატივსაცემი ბაბუა

მიხეილ ოქროპირის ძე ბებიაშვილი

(ა.)

ღრმად დამწუხრებული ცოლი ნინა; შვილები ჟორჟიკა და ოთარი ბერაძეები, სიძე [illegible] ლუკა კობიძე ოჯახობით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს და ნათესავებს, რომ 16 დეკემბერს, დღის 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

დომენტი რომანოზის ძე ბერაძის

[illegible] 5226

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

გაზეთის წლიურ ხელისმომწერთ 1929 წელს დაურიგდება

კ. მარქსის „კაპიტალი" ქართულ ენაზე

ტომი I-ლი, ათას გვერდამდე ყდაში, სახელგამის გამოცემა

თარგმნილი გერმანულიდან ქართულად—დ. ე. ონიაშვილის მიერ.

ქართული თარგმანის პასუხისმგებელი რედაქტორი—სახ. უნივერსიტეტის რექტორი მ. ტოროშელიძე.

გაზეთი წლიურად „კაპიტალი"-ს დამატებით ეღირება:

შეღავათიან ხელის-მომწერთათვის 15 მ. 50 კ.

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის 19 მან.

დაწესებულებანი და კერძო პირები 19 მანეთს იხდიან ერთდროულად, ხელისმოწერისთანავე.—

შეღავათიან ხელისმომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შეიტანონ ხვედრი (15 მ. 50 კაპ.) ფული შემდეგ ვადებში: ორი მანეთი 10 იანვრამდე, დანარჩენი კი გადაიხადონ თვიურად მანეთნახევარი, თებერვლიდან დაწყებული.

ხელისმოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინისგზის კიოსკებში, „კომუნისტი"-ს გამომცემლობის კონტრაგენტებთან და **გამომცემლობის მთავარ კანტორაში** რუსთაველის პრ. № 34.

ჟურნალი „დროშა"

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა იწყებს 1929 წლიდან დასურათებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას

I-ლი №-რი გამოვა იანვრის შუა რიცხვებში

მიიღება ხელისმოწერა 3 თვით და ნახევარი წლით 3 თ. ით ჟურნალი ეღირება 85 კ. ნახევარი წლით 1 მ. 70 კ. ცალკე №-ი 15 კაპ

გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა"-ზე ხელისმოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირეულად გამოვა

„კომუნისტზე" ხელისმოწერის პირობები

დამატების გარეშე გაზეთი ეღირება

მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მას წავლებლებისათვის

1 თვით	1 მ. — კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 მ. — კ.	8 „	7 მ. 65 კ.
3 „	2 მ. 90 კ.	9 „	8 მ. 60 კ.
4 „	3 მ. 85 კ.	10 „	9 მ. 55 კ.
5 „	4 მ. 80 კ.	11 „	10 მ. 50 კ.
6 „	5 მ. 75 კ.	ერთი წლით	11 მ. 50 კ.

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80 კ.
2 „	2 მ. 60 კ.	8 „	10 მ. — კ.
3 „	3 მ. 80 კ.	9 „	11 მ. 30 კ.
4 „	5 მ. — კ.	10 „	12 მ. 60 კ.
5 „	6 მ. 25 კ.	11 „	13 მ. [illegible] კ.
6 „	7 მ. 55 კ.	ერთი წლით	15 მ. — კ.

ხელისმოწერა მიიღება

ქუთაისში — „კომუნისტი"-ს განყოფილება.
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]თან
ახალსენაკში — კონტრაგენტ [illegible]თან
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]თან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ზესტაფონში — კონტრაგენტ იხომელიძესთან
შორაპანში — კონტრაგენტ იხომელიძესთან
ბორჯომ[illegible] — კონტრაგენტ კობახიძესთან
გორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგენტ ლორიასთან
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ [illegible]ოვთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან
ბათომში — ფ/ტ. კანტორაში
ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ბერიშვილთან
ტრიალეთში — კონტრაგენტ ცხვედიანთან

გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა თბილისი—რუსთაველის, პრ. № 34.

სახელმწ. აკადემიური ოპერა [illegible]—1 ს. 1474

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 13 დეკემბ. მე-2 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა, უკანასკნელად ბ. დერჟინსკაიას მონაწ. **ჰუგენოტები**

14 დეკემბ. მე-3 აბონემენტის მესამე წარმოდგენა **გედების ტბა** [illegible] რ. ი. ბალანჩივაძის

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათ [illegible]

რუსთაველის თეატრი 2—2 ნ. 1973

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს ბ. ლავრენევის

რღვევა დრამა 4 მოქ. თარგმ. ა. ფაღავასი

დადგმა **ალ. ახმეტელის.** მხატვარი **ირ. გამრეკელი**

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების [illegible]

რუსთაველის თეატრი ნ. 1973

ანონსი

პრემიერა ვ. კ[illegible]ის

„ლიანდაგი გუგუნებს"

თარგმ. ა. ბოკერია

დადგმა შ. აღსაბაძის მხატვარი ირ. გამრეკელი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს,

დედა-ქალაქის ცირკების პროგრამა ევროპის ცირკების მასშტაბის

სანახაობათა 1-ლი ციკლი

3 განყოფილებით

4 ეშმაკი კონვალდი, ლეომარო, მარგულო, ტამარინი და სხვა ნომრები

ანონსი! მალე?! თვალჭური ადამიანი

დირ. ი. ზ. კუჭრიაძე 30, გამგე მ. ი. ტადე

3—3 ნ. 1963

სახელმწიფო კინო-თეატრები

[illegible]	**თავზე ხელაღებული** 3 და 4 სერიები ერთად
არფასტო	გრანდიოზულად დადგმული ფილმი
სოლეი	**კაპიტანის ქალიშვილი** (КАПИТАНСКАЯ ДОЧКА)
აპოლო	რეჟისორი ი. ტარიჩი
[illegible]	სეზონის საუკეთესო კომედია **დაჯილდოებული მოგზაურები** კატის და პატაშონის მონაწილეობით
მინიონი	ორგიანალური კომედია **ბედნიერების ნალი** მონტი ბენქსის მონ.
დარბაზი	**თავზე ხელაღებული** 5 და 6 სერიები
[illegible]	მატერიალური ბედიდი **პორტფელის გამტაცებელნი**

სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათ. 15 წუთზე. სალარო ღიაა 5 საათ. 20 წუთიდან 0—6

ს. ს. ს. რ.

გადმოთარგმნილია და სისტემატიურად გამოიცემა

1928/33 წლის განმავლობაში

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული

ქართულ ენაზე მ მია ორახელაშვილის რედაქციით.

გამოვა სულ 25 ტომი. თვითეული ტომი დაბეჭდილი იქნება საუკეთესო ქაღალდზე, ექნება კალენკორის ყდა, შეიცავს 500—600 გვერდს.

თარგმანი შესრულებულია ლენინის ინსტიტუტის უკანასკნელი გამოცემიდან საუკეთესო ლიტერატორ-მთარგმნელების მიერ.

საერთო ტექნიკური რედაქცია მინდობილი აქვს ცალკე პასუხისმგებელ პირებს.

ტომები გამოვა შემდეგი თანრიგით:

1928 წლის დეკემბერში 1 ტ., იანვარში მე-20 ტ. 1-ლ სექტემბრამდე 1929 წ. მე-2 და მე-3 ტ. დანარჩენ ტომებზე ხელისმოწერა გამოცხადდება დამატებით.

ამჟამად მიიღება ხელისმოწერა ოთხ ტომზე

(1, 2, 3, მე-20)

სახელგამის ყველა მაღაზიებში:

თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში, ფოთში, ბათომში, ახალსენაკში, ზესტაფონში, მათხოჯში, ონში, ტყიბულში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, ხაშურში, ხონში, დუშეთში.

ხელის მოწერის პირობები:

თითო ტომი ხელისმომწერთათვის ორ მანეთ ნახევარი (2—50) ცალკე გასაყიდად 4 მანეთი.

ხელის მოწერის დროს ბეღ შეტანილ უნდა იქნეს ორი მანეთი. შემდეგ თვითეული ტომის მიღების დროს გადახდილ იქნება ორ-ორი მანეთი

მისამართი შეკვეთებისათვის: თბილისი, რუსთაველის პრ. № 22, ცენტრალური მმართველობა, პერიოდ-სექტორი (ოთახი № 11).

6. 1927 6—3

ქ. თბილისის მე-2 რაიონ სასამართ. აღმასრულებელი

თ. გოგია

ამით აცხადებს, რომ ის 18 დეკემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 4 (მე 2 უბ. სასამართლოს ეზოში) მუხრანის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბარბარე აკიმის ასულ დავლაშერიძის მოძრავ ქონებას: რბილ დგ მებს მაგიდებს, სკამებს, გრამაფონს, სარკეებს, ფარდაგებს, ჭ ლს და სხვა საოჯახო ნივთებს თბ. ხაზინი ა და ბ. დავლაშერიძე სარიევას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მაზრა-ქალაქის სახალხო სასამართლოსაგან 8 სექტემბრის 1928 წ. თარიღით, № 174 გაცემულ აღმ სრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა გაგრძელდება წინა ვაჭრობისა და იწარმოებს შემოძლოულ ფასებიდან. 5229

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ 1928 წ. 28 დეკემბერს დღის 2 საათზე ქ ქუთაისში, ბამბის ქუჩაზე № 17 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პარმენ პეტრიაშვილის აფრიდონ ძის უძრავ ქონებას ერთსართულიან ერთ-თვალ სახლს, ყაზურულ კრამიტით ხის ჭერით, ეტაკით და აივნით, ზედმოგმული ხის, უბ რო და ფიცტაკო სამზარეულოთი. სახლი შეფასებულია 150 მანეთად, აგრეთვე გაიყიდება საჭურჭლე მკაფი შეფასებული 10 მან. აღწერილი ქონება იყიდება პელაგია ქიტიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა № 3991. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ საპ. კოდ და შეიტანოს შეფასებითი თანხის საწინდარი 10 პროც. ნ. 1975

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 15 დეკემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 2 თავისუფლების მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იპოლიტე გრიგოლაშვილის მოძრავ ქონებას: სკამებს, მაგიდებს, სურათებს ჩარჩოებით და სხვ. შეფასებულს 130 მანეთად, მოქქ რუკონოვისა და საამოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბ. ქ. შრომის სახ. სასამართლოსაგან 16 ნოემბრის 1928 წ. თარიღით, № 6369 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 5231

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 17 დეკემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 17 რიყის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სტეფანე ასატუროვის მოძრავ ქონებას: ჯაჭვებით დაბმულ წისქვილს მთელი მოწყობილობით შეფასებულს 300 მანეთად, სურსათმომარაგების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 13 ოქტომბრის 1928 წ. თარიღით, № 5663 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 ს.-მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 3 25—15

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთ მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14 23. 25—

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერიხა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ბ. 9. 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—12

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეული

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესხეგრითა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი

იღებს: დილა-საღამოს. 6 8 25—9

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანიხა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. -12 -67 ნ. 3—25

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

კბილის ტექნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში

სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.

მიიღება ავადმყოფებს ყოველ დღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 6. 2. 25—28

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმისა და მეტყველებისა.

ჰოსპიტალის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის ბანაკისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ბუტბუტებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ.

კლარა ცეტკინის ქ., № 132.

13 -1 ნ. 1809

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 4429 სალატიელ ტატოსიანცის სახელზე, ბ. გ. 5227

დაიკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 440685 მიცემული რკ. გზ საგზაო კავშირიდან ონოფრე სპირიდონის-ძე კაკაბაძის სახელზე, ბ. გ. 5223

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 69054 ნეონილა კვანტალიანის სახელზე, ბ. გ. 5228

დაიკარგა: თბილისის სოც. უზრუნველყოფის კომისარიატიდან მიცემული მოწმობა ინვალიდობის შესახებ ნინა სიმონის ასული გაბუნიას სახელზე, ბ. გ. 5227

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 742 გაცემული მე-24 შრ. სკოლიდან, ოქტ. სკოლის წიგნაკი № 39685, განათლების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 23478, ამავე კავ. ლუბის საწ. წიგნაკი, ბინის ქირის ქვითრები აღებული დეპოდან №№ 7474, 10217, 24272, 1775 ვერა ბესარიონ გობეჩიას ასულის სახელზე, ბ. გ. 5225

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კალოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.